

ქრისტე აღდგა! გილოცავთ!



ქრისტე აღდგა!
მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, მეგობრებო.

აღდგომა სიცოცხლის სიკვდილზე, სინათლის სიბნელეზე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ზეიმია. ამიტომაც ის თავისი სიდიადითა და ბრწყინვალეობით ყველა დღესასწაულსა და მოვლენაზე მაღლა დგას. ამიტომაც ამ დღის სიხარული განსაკუთრებულია.

გამორჩეულია ზეციური ცეცხლიც, რომელიც უფლის საფლავზე გადმოდის, ამ დღესასწაულის ბრწყინვალეობას კიდევ უფრო მეტ ელფერს სძენს. ჩემთვის ზეციური ცეცხლი იმის სიმბოლოცაა, რომ ჩვენი ცოდვებისთვის ჯვარცმული უფალი თავადაა სიკეთე და სიყვარული, ის მუდამ ჩვენთანაა და იმ განაჩენის მიუხედავად, რომელიც მას ადამიანთა მოდგმამ გამოუტანეთ, მაინც ჩვენი სიყვარულისთვის გიზგიზებს.

მეგობრებო „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ ქრისტეს დიდებით აღდგომას გილოცავთ. ვისურვებ, რომ უფლის მაღლი არ მოჰკლებოდეს ჩვენს პატარა, ლამაზ, ღვთივკურთხეულ ერსა და მის შვილებს. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებთ.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ქრისტე აღდგა!
ძვირფასო თანამემამულეებო, გილოცავთ უფლის ბრწყინვალე აღდგომას...

აღდგომა ქრისტიანული სამყაროსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან გაიღო ჩვენთვის დაკეტილი სამოთხის კარი და ღვთის სიყვარულითა და სწორი ცხოვრებით ამ კარში შესვლის შანსი მოგვეცა.

უფლის აღდგომა თითოეულ ჩვენგანს უმტკიცებს რწმენას, რომ სიცოცხლე აუცილებლად დაამარცხებს სიკვდილს, ნათელი-ბნელს, სიკეთე კი ბოროტებას.

ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა ვართ, რომელმაც ამ გზაზე უამრავ წინააღმდეგობას გაუძლო. საუკუნეების მანძილზე ჩვენი ნინაპრებისთვის სამშობლო და ქრისტიანობა იდენტურ ცნებებად ჩამოყალიბდა. ქრისტიანობამ ძალა შემატა ჩვენს მედგარ სულსა და ეროვნულ თვითმყოფადობას. ეს ყველაფერი კი არ იქნებოდა, რომ არა უფლის აღდგომა, რამაც დასაბამი მისცა ჩვენს სარწმუნოებას.

მჯერა იმ დიდი მომავლის, რომელსაც ჩვენი ქვეყანა თითოეული ჩვენგანის შრომითა და ღვთის შეწევნით მიაღწევს და ყოველი გათენებული დღე იქნება გუშინდელზე მშვიდი და ბედნიერების მომტანი. მჯერა, სიკეთე ყოველთვის გაიმარჯვებს ბოროტებაზე... სიკეთეს გისურვებთ, ბედნიერი აღდგომა გვექონოდეს, მეგობრებო.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ნობათები-სოციალურად დაუსვენებს!

დედოფლისწყაროს სათნოების სახლში საქველმოქმედო აქცია გაიმართა. სოციალური სახლის ბენეფიციარებს მოახლოებული აღდგომის დღესასწაული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად მიულოცა და სააღდგომო ნობათი გადასცა.

საჩუქრების გადაცემის პროცესი პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების მკაცრი დაცვით შედგა.

სადღესასწაულო დღეებში საქველმოქმედო აქციის ფარგლებში საახალწლო სასაჩუქრე კალათა ორასმა ბენეფიციარმა მიიღო.



მიტოვებული საფლავები დაასუფთავებს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა აქცია- სააღდგომოდ მიტოვებული საფლავები ახალგაზრდებმა დაასუფთავეს. „იბერიელს“ შეუერთდნენ დედოფლისწყაროს №1, №2 და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეები და კიკობუსინგის კლუბ - „ჩემპიონის“ სპორტსმენები მწვრთნელის-თამაზ ყარაგვეზაშვილის თაოსნობით. დედოფლისწყაროში, ხევსურების უბანში მდებარე სასაფლაოზე, დასუფთავდა და მონესრიგდა 30- მდე საფლავი. ახალგაზრდებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ მაღლიან საქმეში და მაგალითიც მისცეს სხვებს.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, „უფროსკლასელთა ლიგის“ ინიციატივით დაწყებულ მიტოვებული საფლავების დასუფთავების აქციას პირველები შეუერთდნენ სოფელ ზემო მარხაანის ახალგაზრდები.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი ოზანში ამაღლების ტაძართან მისასვლელ გზაზე ცემენტი-ბეტონის საფარის მოწყობაა.

ოზანში მიმდინარე სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 348 842 ლარს შეადგენს.

რეგიონების განვითარების პროგრამა დაიწყო. პრემიერ-მინისტრის ინიციატივა 63 მუნიციპალიტეტს შეეხება. მათ შორისაა ჩვენი რაიონიც. დედოფლისწყაროში კეთილმოწყობა შინამოსვლელთა მემორიალი, რომელიც, დიდი ხანია, მოვლას და რეაბილიტაციას საჭიროებს. მისი საერთო ფართობი 16 ჰექტარს შეადგენს. აღდგება პატარა ტბა, მოეწყობა რეაკრეაციული ზონა და ის კვლავ დაიბრუნებს ძველ ფუნქციას.

ქალაქ დედოფლისწყაროში ბაზრის ტერიტორიიდან- ქალაქის ბოლომდე არეალს ჩაუტარდება მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შემდეგაც ქალაქ დედოფლისწყაროში მოუვლელი ადგილები აღარ იარსებებს.

მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემის-მიუსაფარი ძაღლების საკითხის მოგვარება იწყება. 70-მდე მანანნალა ძაღლს სპეციალური სამსახური ეტაპობრივად წაიყვანს, ვეტერინარულ მომსახურებას გაუწევს და უკან, ბუნებრივ პირობებში დააბრუნებს. გურჯაანის თავმჯდომარის ამქმედების შემდეგ კი სპეციალური სამსახური შეიქმნება და მიუსაფარი ძაღლებიც იქ დაიდებენ ბინას.

ოფთალმიჯთან მემორანდუმი გაფორმდა

პარლამენტის წევრმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში დავით სონღულაშვილმა და თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ და გიორგი ჯავრიშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელმა გიორგი ჯავრიშვილმა გურჯაანში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საზეიმოდ გააფორმეს.

მემორანდუმის საფუძველზე, სამაჟორიტარო ოლქში შემავალი მუნიციპალიტეტების მოსახლეობას საშუალება მიეცემა ადგილზე, სრულიად უფასოდ მიიღოს თვალთან დაკავშირებული ყველა სახის სამედიცინო დახმარება დაწყებული კონსულტაციიდან, დამთავრებული ოპერაციით და ოპერაციის შემდგომი მკურნალობით. პარლამენტის ცნობით, მოძრავ კლინიკაში მოხდება პაციენტების პირველადი გასინჯვა, შემდეგ კი, საჭიროებისამებრ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით აქვე ქირურგიული ოპერაციები ჩაუტარდება მათ, ვისაც ეს დაჭირდება და, შესაბამისად, ასევე ჩაუტარდება პოსტოპერაციული მკურნალობა. მობილური კლინიკა ისეთ სოფლებშიც ჩავა, რომლებიც ფაქტობრივად მოწყვეტილი არიან რაიონულ ცენტრებს. როგორც გიორგი ჯავრიშვილმა განაცხადა, მათ კახეთში, მართალია, ორი ფილიალი აქვთ, მაგრამ მოძრავ კლინიკას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ვინაიდან იგი მიდის ყველგან, სადაც საჭიროა.



„ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, პანდემიის პერიოდში, როდესაც გადაადგილება მოსახლეობას ძალიან უჭირს და ძალიან კარგია, როდესაც ჩვენ, ექიმები, მივდივართ პაციენტთან. მემორანდუმის ფარგლებში, საქველმოქმედო ფონდი დაფინანსებს ოპერაციის ნარჩენ ღირებულებას 50%-ის ოდენობით, ამასთანავე პაციენტებს უსასყიდლოდ მიწოდებათ ოპერაციის შემდგომი პერიოდის მედიკამენტები“, - განაცხადა „ოფთალმიჯის“ ხელმძღვანელმა.

„ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი ვართ დღეს. დღევანდელი დღე არის კიდევ ერთი დასტური კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის, რითიც დიდ სარგებელს მიიღებს ჩვენი მოსახლეობა. ანუ ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ სახელმწიფოს და კერძო სექტორის ძალიან ნაყოფიერი ურთიერთობით როგორ შეიძლება ერთად ბევრი კარგი საქმის კეთება. ბატონი გია ჯავრიშვილის ინიციატივის და მემორანდუმის ფარგლებში დღეს, კახეთში, იწყება უფასო გამოკვლევები იმ მოსახლეობის, ვისაც თვალთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და, შესაბამისად, ხარჯების იმ ნაწილსაც, რასაც ვერ ფარავს საყოველთაო ჯანდაცვა, ბატონი გია ჯავრიშვილის ფონდი გაიღებს და აქედან გამოიმდინარე მოსახლეობისთვის იქნება სრულიად უფასო ყველა ის ღონისძიება, რაც საჭირო იქნება მათი მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების სამკურნალოდ“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

გიორგი ჯავრიშვილის სამედიცინო კომპლექსის მოძრავი კლინიკა ფაქტობრივად ყველა მუნიციპალიტეტს ეწვევა და იქ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი მკურნალობის მიღების შესაძლებლობა ექნება.

მადლოზის სიბებები ქურციკების პოპულაციის აღდგენისთვის...

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, ქურციკების პოპულაციის აღდგენის პროექტის წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასაზღვრო პოლიციის როლი. შსს-ს სასაზღვრო პოლიციის დახმარებით, 2013 წლიდან ახორციელებს.

გამომდინარე იქიდან, რომ სამუხის ველი სასაზღვრო ტერიტორიაა და დაცული ტერიტორიის სტატუსი არ გააჩნია, პროექტის წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასაზღვრო პოლიციის როლი. შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N4 სამმართველო (დედოფლისწყარო) ქურციკების პოპულაციის დაცვისა და მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ქურციკების აღდგენა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტია.

„ქურციკების აღდგენა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტია; აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე, სამუხის ველზე, მოხდა ულამაზესი სახეობის, ქურციკის რეპოპულაცია. მონარული ვარ, რომ პროექტი ძალიან წარმატებულია; მხოლოდ 10 სულით დაიწყო და დღეს, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, უკვე ქურციკის 150-მდე ინდივიდი ფიქსირდება. ეს ორ უწყებას - შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის მჭიდრო თანამშრომლობის წარმატებული შედეგია. ბრაკონიერობის გამო, ქურციკის პოპულაციის აღდგენის რამდენიმე მცდელობა წარუმატებელი იყო. ახლა კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე მდგრადი პოპულაცია ყალიბდება, რომელიც ყოველწლიურად მზარდია. ამ პროექტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა მიზიდულობის ზრდის თვალსაზრისითაც. ვაშლოვანი ყოველთვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ვიზიტორებს შორის, აღნიშნული პროექტის განხორციელებით კი, კიდევ უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს“, - განაცხადა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

ქურციკის აღდგენა საქართველოს გარემოსდაცველების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ვინაიდან ივრის ზეგანზე ეკოსისტემების გაჯანსაღება ამ ცხოველის გარეშე შეუძლებელია. ვაშლოვანის ეროვნული პარკი, საქართველოში, ევროპული დიპლომის მფლობელი ერთადერთი დაცული ტერიტორიაა. მას ევროპული დიპლომი პირველად 2015 წელს მიენიჭა; 2020 წელს კი, დიპლომის ვადა 10 წლით გახანგრძლივდა.

ქურციკი (ანუ ჯაირანი) ფართოდ იყო გავრცელებული არაბეთის ნახევარკუნძულიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ცენტრალური აზიიდან მონღოლეთსა და ჩინეთამდე. დღეს კი ნითელ ნუსხაშია შეყვანილი, როგორც „მონყვლადი“.

ქურციკი (Gazella Subgutturosa) მცირე ზომის წვეილჩლიქოსანი ცხოველია, თეთრი მუცლითა და ჩალისფერი ზურგით, რომელიც უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში ბინადრობს, დაახლოებით 18-33 კგ-მდე იწონის და 80 კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარება შეუძლია. ადვილი ამოსაცნობია შავი კუდითა და ქნარით რქების წყალობით, რომლებიც მამრის თავს ამშვენებს და თითოეულ ინდივიდს თავისებური აქვს. ჩვეულებრივ, მდგრებს ან საერთოდ არ აქვთ რქები, ან ძალიან პატარა აქვთ -სულ რამდენიმე სანტიმეტრი. ზოგჯერ ქურციკს გარეულ თხადაც მოიხსენიებენ, არადა ძროხისებრთა ოჯახის სრულიად სხვა გვარს ეკუთვნის.

მე-19 საუკუნის საქართველოში, მწვანედ მოზიბინე საძოვრებზე ათასობით ქურციკი იყო და მათი არეალი რუსთავამდე აღწევდა. თუმცა, გასული საუკუნის 50-იან წლებში ეს გმვენიერი ცხოველი თითქმის სრულიად გაუჩინარდა. საბჭოთა ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ გარეული წვეილჩლიქოსანი ცხვარს უწევდა კონკურენციას და თვალს ხუჭავდა მათ უღმობლად ხოცვაზე. სამწუხაროდ, რაც არ უნდა სწრაფი ყოფილიყო ეს „გარეული თხა“, ტყვია მაინც ეწეოდა. უკანასკნელი ქურციკი 1990-იან წლებში ჩვენს ქვეყანაშიც ეს სახეობა მთლიანად განადგურდა.

2006 წელს ვაშლოვანის ეროვნულ პარკში დაცული ტერიტორიების სააგენტომ, „ნაკრესთან, თბილისის ზოოპარკთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად, ექვსი ცხოველი შემოიყვანა თურქეთიდან. სამწუხაროდ, გადმოსახლების პროცესი წარუმატებელი აღმოჩნდა: რამდენიმე ტრანსპორტირების



სტრესს ვერ გაუძლო, ერთს კი გიურზან უკბინა.

ამას მოჰყვა მეორე მცდელობაც. WWF-მა ივრის ხეობაში გაუშვა ეს ცხოველები და ამჯერად წარმატებულად: ქურციკებმა ახალ ადგილას მოიკიდეს ფეხი და გამრავლდნენ. ამ მცდელობას კიდევ რამდენიმე მოჰყვა და 2017 წელს ეროვნულ პარკში ქურციკების რიცხოვნობა 45 ინდივიდამდე გაიზარდა. რადგან ქურციკების რიცხვი კვლავ შეზღუდულია და არაფერ უნდა დაიკარგოს, ცხოველებს რადიოსაყვლეურები უკეთიათ, რომლებიც თანამგზავრს გადასცემს სიგნალს. ამგვარად, ვაშლოვანის ეროვნული პარკის რეინჯერებმა ყოველთვის იციან, სად და როგორ არის ჯოგი.

ჯეირნის 70-ზე მეტი ინდივიდი შემოყვანილია აზერბაიჯანიდან და გამკვეებულია საქართველოში, ამ ცხოველის ისტორიული გავრცელების არეალში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიმდებარე სამუხის ველზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემოყვანილია ჯეირნებმა საბინადრო გარემოდ სწორედ სამუხის ველი აირჩიეს, რითაც დასტურდება სამუხის ველის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ სახეობის აღდგენისათვის.

2021 წელს, საქართველოში ქურციკების უკვე მეექვსე თაობა დაიბადა.

მომამზადა ინგა შიოლაშვილი



ვაშლოვანი - სამოთხე დედამიწაზე

სტაჟის მცენარეები, გადაშლილი მწვანე ველი და ირგვლივ კანონები... გმონია, რომ ამ ულამაზეს და წყნარ ადგილას ჟირაფი გამოჩნდება მაღალი კისრითა და მოხდენილი სიარულით. მას ანტილოპაც მოჰყვება და ცოტა ხანში, შისაქლოვ, ვეფხვამაც ისჯუროს-ეს მირაჟია, რომელსაც ვაშლოვანის ნაპრძალი იწვევს და რომელი სურათის მოლოდინიც გვირ ვიზიტორში გამოუწვევია...

ნახევარუდაბნო და უდაბნო, წყნარი და მშვიდი, ერთი შეხედვით, მიძინებულ დედამიწა, მაგრამ, ამავდროულად, სიცოცხლით სავსე, ულამაზესი ხედვებით, ბუნების ძეგლებით, ფლორისა და ფაუნის უნიკალური ნარმოზადგენლებით მდიდარი ტერიტორია — ეს ვაშლოვანია. ვაშლოვანში შესვლისთანავე თქვენს თვალწინ გადაიშლება ულამაზესი სანახაობა და მიხედვით, რომ სრულიად სხვა, ახალ სამყაროში აღმოჩნდით. იგი ყოველმხრივ უნიკალური დაცული ტერიტორიაა, როგორც სამეცნიერო, ასევე ეკოტურისტული თვალსაზრისით. ზოგადად, ასეთი გაშლილი სივრცეები, ვინრო ხეობებით დასერილი რელიეფი (ე.წ. „ბე-



დღენდები“), ალესილები (ციცაბო და შიშველ ფერდობებს ჰქვია) და ხმელეთის მცირე ტერიტორიაზე რელიეფის ფორმებისა და მცენარეული საფარის ასეთი სწრაფი მიმოცვლა სხვაგან არსად გვხვდება (ზოგი ამ ადგილს არეულესაც ეძახის). კიდევ უფრო დიდ ალტაცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ვაშლოვანი კახეთის ორ მთავარ მდინარეს, ალაზანსა და იორს შორის არის მოქცეული და, მიუხედავად ამისა, ის მაინც ასეთი ხრიოკი და უწყლო ადგილია. თუმცა, ტერიტორია მდიდარია მინისქვეშა, ე.წ. გრუნტის წყლებით. სწორედ ამიტომ ვაშლოვანს დაფარული წყლის სამეფოც შეგვიძლია ვუწოდოთ.

ვაშლოვანის ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ბიომრავალფეროვნება უნიკალური და განსაკუთრებულია. შესაბამისად, მათ დაცვა და შენარჩუნება სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ 1935 წელს, დიდი ქართველი მეცნიერების, ნიკო კეცხოველისა და ვასილ გულისაშვილის ინიციატივით, ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა. 2003 წელს, დაცული ტერიტორიის გაფართოების მიზნით, ნაკრძალს ეროვნული პარკიც შეემეტა, რომლის ფარგლებშიც მოექცა სამი ბუნების ძეგლი — ალაზნის ჭალები („კაკლის ყურე“), არნივის ხეობა და „ტახტი-თეფას“ ტალახის ვულკანები. საერთო ფართობმა კი 35 067,5 ჰექტარი შეადგინა. მკაცრი კლიმატური პირობები არ უნდა იყოს შემაფრთხილებელი ფაქტორი ნაკრძალში სტუმრობისათვის, რადგანაც სადაც ერთი შეხედვით მხოლოდ ცხელი და გავრვარებული მიწაა, სინამდვილეში სიცოცხლე ნამდვილად სასწაულებს ახდენს. სამოგზაუროდ იდეალური დრო გაზაფხული და შემოდგომაა. ახლა კი, მოდი, ერთად ვნახოთ, თუ რა თვალწარმტაცი სანახაობა გელოდებათ ვაშლოვანში გაზაფხულზე.

ცივი ზამთრისა და ყინვების შემდეგ ვაშლოვანში ბედნიერება და სიხარული ისადაურებს. მაშინ, როდესაც

აღმოსავლეთ კავკასიონის ქედები ჯერ კიდევ თოვლით არის დაფარული, აქ უკვე გაზაფხული და სიმწვანე იწყებს ფენის მოკიდებას. ყოველი დილა იწყება ჩიტების ჭიკჭიკით, ხოლო მინიდან ნელ-ნელა ლამაზი ყვავილები ამოყოფენ თავს. გაზაფხულის დადგომას მოასწავებენ აყვავებული საკმლის ხეები, რომელთა დანახვაც ნაკრძალში შესვლისთანავე შეასძლებელი. საკმლის ხის ტყეები უმთავრესი კომპონენტია, რითაც ვაშლოვანი ფასობს, რადგანაც ის უიშვიათესი მცენარეა და, საბედნიეროდ, აქ ძალიან კარგადაა შემონახული. ეს ხეები ერთმანეთისგან 15-20 მეტრით არის დაშორებული, მსგავსი განლაგება და მისი ნითელი შეფერილობის მრგვალი ნაყოფი გარეგნულად ვაშლის ბაღს მოგაკონებთ. ტერიტორიის ტოპონიმიც, ვაშლოვანი, სწორედ აქედან მომდინარეობს. საკმლის ხშირი სტუმარია გარეული ღორი, რომელიც მსუნაგად შეექცევა მის ცხიმოვან ნაყოფს, თუმცა აქ სხვა ცხოველებსაც შეხვდებით, მათ შორის სხვადასხვა ფრინველსა და მტაცებლებს: მგელს, დათვსა და მელას. ნათელ ტყეს ამდიდრებს ფართოდ გაშლილი აკაკის ხეც. მათთან ერთად თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს ღვიაც. ეს



მარადმწვანე მცენარე წელიწადის ნებისმიერ დროს შემოგეგებებათ და თავისი სურნელებით მოგაჯადოებთ. აპრილში ის ყვავილობას იწყებს და ორფერად ყვავის - მდებრი ვარდისფრად, მამრი - ცისფრად. გენდერული დაყოფა მათშიც მნიშვნელოვანია...

ვაშლოვანის ბილიკები დაუვიწყარ თავგადასავლებს გპირდებით. რაც უფრო ღრმად შეხვალთ ნაკრძალის ტერიტორიაზე, სილამაზეს მისტიკური ელემენტებიც შემოეპარება. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი გახლავთ „დათვისხევი“. ის, რაც ჩვენ უდაბნო და ხრიოკი ადგილი გვეგონა, ადრე თურმე ზღვით ყოფილა დაფარული, რასაც ნათლად მოწმობს კლდეში განმარტებული ნიჟარები. თვალწარმტაცი სანახაობა შოკისმომგვრელი და საკამოდ მოულოდნელია პირველად ჩასული დამთვალიერებლებისათვის, თუმცა, ეს რეალობაა და ამ უწყლო სამყაროში ორი მილიონი წლის წინანდელ მოლუსკების ნიჟარებსაც დაუშკვიდრებიათ თავი.

ზოგადად, „დათვისხევი“ მრავლისმომცველი ადგილია. იგი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, სადაც მინისქვეშა წყალი გარეთ გამოედინება. ამას გარდა, ის საკამოდ მიმზიდველია გეოლოგებისა და არქეოლოგებისთვის. ერთ-ერთ კლდეზე თქვენ შეხვდებით პრეისტორიული ხანის სამხრეთული სპილოს ძვლების ნამარხებს. ეს ხეობა გრძელ პერგამენტს ჰგავს, რომელზეც აქაურობის ისტორიაა დაწერილი - თქვენ ადვილად ამოიცნობთ და, მეტიც, შეძლებთ ცხადად წარმოიდგინოთ, თუ რომელმა ცხოველმა რა მიმართულებით გაიარა გზა. ეს ადგილები ზედგამოჭრილია დაკვირვებული და ცნობისმოყვარე ადამიანებისათვის. როგორც ამბობენ, ბუნება ყველაზე საუცხოო ნიგნია, მთავარია, მისი ნაკითხვის სურვილი გაგიჩნდეს...

„დათვისხევიდან“ პანტიშარას ხეობისკენ გადავიწვლოთ, სადაც მორიგი შთამბეჭდავი სანახაობა გველის.



მასშტაბური ტექტონიკა და მინის პირამიდები, ეს პანტიშარის ხეობის ალესილებია. მსგავსი ტიპის კლდეებს უხვად შეხვდებით ვაშლოვანის უდაბნოში. ალესილები ციცაბო და შიშველ ფერდობებს ეწოდება, რომლებიც ეროზიის შედეგად არის მიღებული. პანტიშარას ხეობაში ისინი მაინც განსაკუთრებულია, რადგანაც აქ შეხვდებით ხეობის მთავარ მშენებელს - „მერცხლების ქალაქს“. შორიდან ეს ადგილი ვარძიას, კლდეში ნაკვეთ ქალაქს მოგაკონებთ, თუმცა სინამდვილეში ეს პატარა-პატარა „გამოქვებულები“ ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული მერცხლების ბუდეებია. ისინი დიდი მოთმინებით ელოდებიან გაზაფხულის პირველი დღეების მოსვლასა და საყვარელი ფრინველების დაბრუნებას. თოვლის დადნობასა და ცივი ზამთრის დასრულებას კი თბილი ქვეყნებიდან მოფრენილი მერცხლების ჟრიაშილი გვამცნობს. ისინი დაბრუნებულან მშობლიურ ადგილას და ბუდეების შენებას მეტი ენთუზიაზმით იწყებენ. როგორც ჩვენი გიდი სოლომონ პოქინაშვილი გვეუბნება, მერცხლების ქალაქი, რამდენიმე წლის წინ, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში მომხდარმა მინისძვრამ დააზიანა, ბუდეები ჩამოშალა. მაგრამ „პატრიოტმა მერცხლებმა“ სახლების აღდგენა კვლავ დაიწყეს.

პანტიშარას ხეობას არა მარტო ბუნებრივი, არამედ ისტორიული მნიშვნელობაც გააჩნია. იქიდან გამოდინარე, რომ იგი საქართველოს საზღვართან მდებარეობს, საქართველოში მტრების უმრავლესობა სწორედ ამ ხეობის გავლით შემოდის. განსაკუთრებით ალანისშავია სპარსელთა შემოსევები, მეტიც, ფერეიდანში გადასახლებული ქართველებიც სწორედ ამ ხეობაზე გაატარეს. დიდი წმინდანი და დედოფალი ქეთევან ნამებული ამ გზით წაიყვანეს ირანში. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ქეთევან დედოფალმა საქართველოში თავისი უკანასკნელი ღამე შავი მთის დედათა მონასტერში გაატარა, რომელიც ვაშლოვანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ჩვენ შავ მთასაც ვესტუმრეთ და იმ მისტიკური მონასტრის ნანგრევებიც მოვიხილეთ. სამწუხარო ფაქტს წავაწყდით - ნანგრევების ერთი კედლის ფრაგმენტი მთლიანად მოთხრილი დაგვხვდა. როგორც ჩანს, შავი არქეოლოგიის მოყვარულებმა აქაც მოაღწიეს და უნებარყო გათხრებს მიჰყვეს ხელი. არავინ იცის, რა ან რამდენად ღირებული ნივთები იპოვეს, ან რა ფასი ექნებათ მათ შავ ზაზარზე, თუმცა, საქართველოსთვის შეუფასებელი ნივთები რომ კაპიკებდ იყიდება და გადის ქვეყნიდან, ეს მოუგვარებელ პრობლემათა ჯაჭვის ერთი რგოლია კვლავ!

შავი არამოლოგები არა, მაგრამ რიგითი ვიზიტორების მიერ მოთხრილი შავი ორმოები მრავლად დაგვხვდა ნაპრძალის ტერიტორიაზე. რას ეძებდნენ? - ტიტებს, ზამბახებს... ეს ველური

ორპიდაა, რომორც ჩვენი გიდი გვიუბნება, ის რამდენიმე ვიფარელოპისა და ხარობს მხოლოდ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე. უნიკალური ენდემური სახეობის ეს ყვავილი მოწყვდილი საცილადად ებღო მინაზე, იმ, სადაც გუჩაძს შორის, ჩრდილოეთ თავს იწონება და ქართული ზამბახი... რომორც ჩანს, ვიღაცამ ძირიანად ამოთხარა, ეს ერთი ტოტი მოუწყდა და იმ დარჩა, გმოპლიურ მინაზე...ყვავილის აღბილას კი ორმო დარჩა, რომორც მოუშუშავალი ჭრილოვა...

ბარამოსლამცეველები ამგომან, რომ ენდემური ყვავილები ჩვენს სახლებში ვერ ბინებარებან, მათ სპეციალური ბარამო პირობები სჭირდებათ სიცოცხლისათვის. ასეთი პირობები და ჰავა კი მხოლოდ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზეა! ამიტომ ყველა ვიზიტორს სთხოვან, ნუ მოთხრან ყვავილებს და გაუფრთხილდნენ გუნებრივ სიფიძრას!

შავი მთიდან ნამოსულებს მოგვაცილებდნენ ულამაზესი ველის იორდასალამები. ეს ლამაზი ყვავილი, რომელიც ერთი შეხედვით ყაყაროს ჰგავს, სინამდვილეში ველის იორდასალამია და ის გაზაფხულზე კორომებად ყვავის დაცულ



ტერიტორიაზე... მათ ფონზე, ბუჩქებს შორის, დავლანდეთ ულამაზესი შეფერილობის ქართული ხოხბები.

მრავალი დაფარული საიდუმლოებით მოცული ვაშლოვანი ნამდვილი სამოთხეა დედამიწაზე, რომლის სიტყვებით სრულად გადმოცემა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ თითოეული თქვენგანი აუცილებლად უნდა ესტუმროთ მას. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გამაოგნებელი, ჯადოსნური და დაუვიწყარი თავგადასავლების სამყარო გელოდებათ.

თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021

„წიგნი იმისთანა რამ არის, სოფლის ამბავს ქალაქში ამოიტანს, ქალაქის სოფელში წაიღებს, საიდან სად კაცს კაცთან გალაპარაკებს“ ამბობდა ილია ჭავჭავაძე. ამ ერთ წინადადებაში ჩანს წიგნის იმ მრავალ სიკეთეებზე, რომელიც ჩამოსათვლელად ადამიანს არც გაზეთის სივრცე ეყოფა და ვერც ბოლომდე იტყვის თავის სათქმელს. წიგნი სამყაროა, რომელიც სრულად შეგიძლია მოიგვო, შეიგრძნო და საკუთარ ემოციებს დაუკავშირო. წიგნი აღმოჩენების, შემეცნება, ახლისა და ძველის გაზიარებაა. სწორედ, ამიტომაც ის შეუცვლელი.


არსებობს ასეთი ფართობსშტაბიანი პროექტი, რომელსაც World Book Capital ანუ წიგნის მსოფლიო დედაქალაქი ჰქვია. ეს პროექტი, რომელიც 2001 წელს, UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. ის მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების, გამომცემლების ხელშეწყობას. იუნესკომ წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფართობსშტაბიანი პროექტი 2001 წელს დაიწყო, რომლის პირველი დედაქალაქი მადრიდი გახდა. წიგნის დედაქალაქის სტატუსი ჰქონდა შარჟას (არაბეთის გაერთიანებული საემოროები), რომელმაც სტატუსის მოპოვება მერვე ცდაზე მოახერხა. მეხუთე ცდაზე გაუმართლა მალაიზიის დედაქალაქს. კუალა ლუმპურმა შარჟასგან წიგნის დედაქალაქის ტიტული 2020 წელს გადაიბარა. 2021 წლის 23 აპრილიდან კი, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, ეს სტატუსი თბილისს მიენიჭა.

რას მოუტანს ეს სტატუსი დედაქალაქს?

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, კახა კალაძემ წიგნის დედაქალაქის სტატუსი კუალა ლუმპურის მერიის დელეგაციისგან გადაიბარა. მისი თქმით, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოს ყურადღება საქართველოს დედაქალაქსკენ იქნება მიმართული. „23 აპრილი თბილისისთვის ისტორიული დღეა. ჩვენი ქალაქი, თანამედროვე მსოფლიოს დედაქალაქის წოდებას მიიღებს და ერთი წლის განმავლობაში, კითხვის, წერის, შემეცნების, განვითარებისა და მუდმივი პროგრესის სურვილით ანთებული ადამიანების შეხვედრის ადგილი იქნება. მომავალი წლის 23 აპრილამდე, მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩვენი ულამაზესი ქალაქისკენ იქნება მოპყრობილი, რაც უდიდესი პასუხისმგებლობის გარდა, ჩვენი ლიტერატურული საგანძურის, თანამედროვე მწერლობის, საგანმცემლო სფეროში არსებული პროცესებისა და სხვა მომიჯნავე სფეროების, მსოფლიოსთვის გაცნობის უნიკალური საშუალებაა. „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ იუნესკო-ს პროექტია, რომელიც, ჯერ კიდევ, 2019 წელს, ჩვენი მხრიდან წარდგენილი პროგრამა რამდენიმე კომპონენტის გამო გამოარჩია. მთელ წელიწადზე განერილი

პროგრამა საქმიანი, შემეცნებითი და, რაც მთავარია, მომავალზე ორიენტირებულია. პროგრამაში თავისთვის საინტერესოს აღმოაჩენს ნებისმიერი ასაკისა და ინტერესის მქონე ადამიანი, ვისაც სურს მეტი იცოდეს, გაიფართოვოს თვალსაწიერი, გაიცნოს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები და, ამავდროულად, საკუთარი თავიც წარმოაჩინოს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

როგორც დედაქალაქის მერმა განაცხადა, მომდევნო წლის განმავლობაში, თბილისის ახალი სტატუსის გათვალისწინებით, მრავალი ღონისძიება იქნება დაგეგმილი, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ



ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდება.

„მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, მართლაც დიდი სამუშაო გველის, რომლის განხორციელებაც საუკეთესო გუნდს მივანდეთ და გვეჯერა მათი პროფესიონალიზმის. მეც, ჩემი გუნდით, მათ გვერდით ვდგავარ და მზად ვარ, ყველა გამოწვევასა თუ წარმატებას მათთან ერთად შევხვდე. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჩვენი პარტნიორები, ვისი უშუალო მონაწილეობითაც წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება. ესენია: მწერალთა სახლი, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, ლიტერატურის მუზეუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისის მუზეუმების გაერთიანება, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და სხვა. ეს ორგანიზაციები, მრავალი წელია, ქვეყანაში წიგნის სფეროს პოპულარიზაციას უწყობენ, მჭიდრო კავშირი აქვთ მკითხველთან, პოტენციურ მკითხველთან და საუკეთესოდ იციან, რა არის საჭირო ჩვენი საზოგადოების, მომავალი თაობის სწორი მიმართულებით განსავითარებლად. მინდა, მოგილოცოთ და ვისურვო, რომ ეს იყოს სწორედ ის წელიწადი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს სასიკეთოდ შეცვლის, ჩვენს საზოგადოებას მეტ თვალსაწიერს გაუხსნის, მსოფლიოს კი ახალი კუთხით გააცნობს

ჩვენს ქვეყანას და დედაქალაქს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

საზეიმო ღონისძიებას დაესრულნენ იუნესკო-ს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის მენეჯერი იან დენისონი, იუნესკოს კეთილი ნების ელჩი ვერა მიხალსკი-ჰოფმანი, აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის გენერალური მდივანი ხოსე ბორგინო, ამავე ასოციაციის პრეზიდენტი ბოდურ ალ ქასიმი, 2020 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქის მასპინძელი ქალაქის, კუალა ლუმპურის მერის მოადგილე ამვარ ბინ მოჰდ ზანი,

ტივაზე. მაგალითად, ჩვენ თუ გავაკეთებთ საბავშვო ბიბლიოთეკას, ეს იმას ნიშნავს, რომ ის დარჩება ქალაქს, ბიბლიოთეკები ახალი წიგნებით შეიარაღდება და ა.შ. ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმ დიდი პროექტისა, რომელიც უნდა განხორციელდეს“, — განაცხადა რადიო თავისუფლებასთან საუბარში თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორმა ნინია მაჭარაშვილმა.

თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მიერ წარდგენილი აპლიკაცია გადაწყვეტილების მიმღებთათვის საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან მასში ჩანს როგორც პროექტის თანამედროვე კონცეფცია, ასევე, სამთავრობო სტრუქტურებისა და კერძო ორგანიზაციების ჰარმონიული თანამშრომლობა, პროექტების განხორციელების თანამედროვე გზები და მათში საზოგადოების მასშტაბური ინტეგრაცია. იუნესკოს პროექტი „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ თბილისის მერიის ინიციატივითა და საქართველოს ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება.

რა შეიძლება დედაქალაქში ასაკ სტატუსთან ერთად?

*გაიმართება წიგნის რამდენიმე ფესტივალი, კონფერენციები და კონკურსები;
*შეიქმნება აპლიკაციები და ინტერაქტიული წიგნები პატარებისთვის
*არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გაიხსნება წიგნის კუთხეები;

*ტურისტებისთვის შეიქმნება თბილისის ლიტერატურული რუკა, რომელზეც დატანილი იქნება მუზეუმები, გამომცემლობები, ლიტერატურული კაფეები;

*შეიქმნება ცხელი ხაზი, სადაც მკითხველებს წიგნების თაობაზე რჩევებს მისცემენ;

*აუდიონიგნები გაიუღერებს რადიოში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

*შეიქმნება 24-საათიანი უფასო ბიბლიოთეკა.

წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის მოსაპოვებლად თბილისის მერიამ და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ განაცხადი, საქართველოს „იუნესკოს“ საქმეთა ეროვნული კომისიის (საგარეო საქმეთა სამინისტრო) მხარდაჭერით, 2019 წლის მაისში წარადგინეს. კონკურსში თბილისის გამარჯვება 2019 წლის 7 ოქტომბერს UNESCO-ს გენერალურმა დირექტორმა ოდრი აზულემ გამოაცხადა. ასევე შეიქმნა ვიდეო რგოლი, სადაც მწერალი და ფოტოხელოვანი არჩილ ქოქიძე თბილისსა და მის ხასიათზე გვიამბობს. ვიდეორგოლზე Film Asylum-მა იმუშავა. „ესაა ქალაქი, რომელიც თავად ჰგავს კარგ წიგნს და ნებისმიერისთვის ინახავს საინტერესო ამბავს“ - ესაა სწორედ ის დევიზი, რომლითაც თბილისი მთელი წლის განმავლობაში წარსდგება უცხოეული თუ ქართველი მკითხველის წინაშე.

რატომ უნდა იკითხოთ მხატვრული ლიტერატურა ხშირად

წიგნის კითხვის მნიშვნელობა და აუცილებლობაზე არაერთი ისტორია გსმენიათ მშობლებსგან. დღეს კი, უკვე კვლევების საფუძველზე, გამოიკვეთა 7 მიზეზი, თუ რატომ უნდა იკითხოთ მხატვრული ლიტერატურა უფრო ხშირად:

1. თანაკლასის გამოწვევა

მხატვრული ლიტერატურა იმდენად გითრევს თავის ისტორიებსა და გმირების ცხოვრებაში, რომ პერსონაჟების ადგილას წარმოგადგენინებს თავს და მათ ტკივილსა და სიხარულს, წარმატებასა და ბრძოლას თანაგრძნობით, საკუთარი შეგრძნებებით განგაცდევინებს.

2. სტერეოტიპების გათავისუფლება

სტერეოტიპები ფერადკანიანებზე, შემწეობის მთხოვნელებსა და დამნაშავეებზე. მხატვრული ლიტე-

რატურა მათი ცხოვრების ასახვითა და სათქმელის გადმოცემით მკითხველს მათი თვალთ უჩვენებს სამყაროს და მეტად ტოლერანტულ დამოკიდებულებას აყალიბებს.

3. გიდიარი წარმოსახვის უნარი

„ავტორი მხოლოდ წიგნის ნახევარს წერს. ნაწარმოებს მკითხველი ასრულებს“ - ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსი ჯოზეფ კონრადი. კარგი მწერალი საინტერესო სიუჟეტებსა და გმირებს ქმნის საინტერესო წერის მანერით, მკითხველი კი მდიდარი წარმოსახვით აცოცხლებს პერსონაჟის გარეგნობას, ქალაქის პეიზაჟსა და ოთახში დატრიალებულ კერძის სუნსაც კი.

4. გვიანი ქიმი და მზარი ნაკვალისხი

კითხვა იდეალური საქმიანო-

ბაა ძილის წინ. მხატვრული ლიტერატურა გართობს, გადუნებს და ტკბილად ჩაძინებაში გეხმარებათ. კვლევებმა აჩვენა, რომ 6 წუთის განმავლობაში კი კითხვა 68%-ით ამცირებს პულსს და ასვენებს კუნთებს.

5. კლინიკის მხარდაჭერა და ლოკალი

კვლევების თანახმად, მხატვრული ლიტერატურის აქტიური მკითხველები ხანდაზმულობაში 32%-ით ნაკლებად იტანჯებიან ალცაიმერის დაავადებით. წიგნის გმირების დამახსოვრება და ნაწარმოების მთავარ სათქმელთან ნვდომა ავარჯიშებს მეხსიერებას და ავითარებს ლოგიკას.

6. გიდიარი სიბავის მარაგი

თუ გსურთ ლამაზად ისაუბროთ, მხატვრული ლიტერატურა უნდა იკითხოთ. ამ გზით, გაიმდიდრებთ

სიტყვების მარაგს, უფრო მარტივად ჩამოაყალიბებთ სათქმელს და გათავისუფლებით შაბლონური ფრაზებისგან.

7. ახალი მარაგები და გამოხილვა

მხატვრული ლიტერატურა საინტერესო პერსონაჟებს გვაცნობს და მრავალფეროვან გარემოში გვამოგზაურობს, გვიყალიბებს განსხვავებულ დამოკიდებულებებს და ისეთ გამოცდილებას გვაძლევს, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში რთულად მივიღებდით.

ყოველი წაკითხული წიგნი ადამიანს პიროვნულად ზრდის და ავითარებს.

გვერდი მოამზადა შუაშენი ყანაშვილი

შეზღუდვები სააღდგომო დღეებში

2021 წლის 2 მაისიდან 2021 წლის 4 მაისის ჩათვლით სასაფლაოს ტარიტორიაზე შესვლა იკრძალება. სააღდგომო ღიებურობისთვის დაკავშირებით გამოწვევის სახით დაიშვა, რომ პირველ მაისს გადაადგილების შეზღუდვა ნაცვლად 21:00 საათისა დაიწყება 23:00 საათზე, რომელიც 2 მაისის 04:00 საათამდე იქნება. დანარჩენი შეზღუდვები: 3-დან 12 მაისის ჩათვლით შიდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ იშვებება, ხოლო სააღდგომო ღიებურობისთვის დაიშვა უფრო შეიხება, ვიდრე კარძო კომპანიებს, რადგან კარძო სექტორი არ დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დღევანდელი ინფორმაციით, სოციალურ ღონისძიებებზე შეზღუდვა კვლავ ძალაშია, ამ ადამიანზე მათის შეკრება კვლავ შეზღუდულია, ეს გულისხმობს რომელიც ქაღალდს, იუბილსა და მსხავს შეკრებას.

რაც შეეხება ვაქცინაციის პროცესს, 30 აპრილის მონაცემებით, ბოლო 24 საათის განმავლობაში, საქართველოში კორონავირუსის საინფორმაციო აცრა 1 767-მა ადამიანმა გაიკეთა. სულ ქვეყანაში ვაქცინაცია 43 568 მოქალაქეს ჩატარდა. სკოლებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა იმუნიზაციის პროცესი ადგილობრივ კლინიკებში აქტიურად მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს. როგორც განცხადებამია ნათქვამი, ამჯერად ვაქცინაცია შიდა ქართლის სკოლების მასწავლებლებს ჩატარდება. მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის ვაქცინაცია ნებაყოფლობითა და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგე-

ნილ ასაკობრივ ჯგუფებზე ვრცელდება. მსურველები რეგისტრირდებიან ინდივიდუალურად, ჯანდაცვის სამინისტროს პორტალზე. ინფექციური საავადმყოფოს დირექტორის თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის 2%-ია აცრილი, შეზღუდვების მოხსნაზე საუბარი ვერ იქნება.

„ისრაელის მავალითს თუ გავიმეორებთ ვაქცინაციის რაოდენობით და მასობრივობით, ასევე გავიმეორებთ მისი შეზღუდვების შემცირებასაც, მაგრამ ახლა მოსახლეობის მხოლოდ 2% გვყავს აცრილი და 2% ვერანირ შეზღუდვებს ვერ შეამცირებს. როცა სადაც 30%-ზე მაინც ავალთ, მერე ყველანაირი შეზღუდვები, ალბათ, მოიხსნება, ყველაზე ბოლოს „კომუნდანტის საათი“ დარჩება და ისიც შემსუბუქდება ანუ დაპატარავდება ინტენსივობა, თუ იქნება მასობრივი ვაქცინაცია და თუ პირდაპირ ტარება იქნება 90-95%. თუ ეს ყველაფერი შესრულდება და მთავრობამ მაინც არ მოხსნა შეზღუდვები, მერე შეგიძლიათ ნაყოფიერობის ზიები მთავრობას, მაგრამ ჯერ პირობები უნდა შესრულდეს და მერე ვილაპარაკოთ შეზღუდვებზე“, - აცხადებს თენგიზ ცერცვაძე.

“კიდევ ერთი ძალიან მტივიანული და სენსიტიური თემა - უნდა იქნას თუ არა საპლანეტარო ვაქცინაცია. იცით თქვენ ჩვენი სიყვარული, ლტოლვა და მისწრაფება თავისუფლებისადმი. მითუმეტეს, ამ პოლიტიკური პოლარიზაციის პერიოდში, როდესაც თითოეული რაღაც ვალდებულება აღიქმება თავისუფლების შეზღუდვად, ამიტომ სავალდებულო ვერ იქნება ვაქცინაცია ჩვენთან, მაგრამ რაღაც ზომები, მკაცრი დარწმუნების ზომები და მკაცრი რეკომენდაციები უნდა იყოს. ისრაელში სახელმწიფოს ჰქონდა არაპირდაპირი იძულების ზომები, მაგალითად, ვერ ჩაენერგოდა ისეთ ექიმთან ავადმყოფი, ვინც არ იყო ვაქცინირებული, ავიკომპანიები არ ყიდდნენ ბილეთებს თუ არ ექნებოდა კოვიდპასპორტი, სასტუმროები არ იღებენ, რესტორნები არ იღებენ. ეს არის არაპირდაპირი იძულების ფორმები”, - დასძენს ცერცვაძე.

ეკონომიკა დაიკრა?!

საქართველოს ეკონომიკა ნელ-ნელა გამოცოცხლებას იწყებს. მარტში მშპ 4%-ით გაიზარდა. მძიმე პერიოდის შემდეგ, აღნიშნული მონაცემები იმედისმომცემია. თუკი მორიგი ლოკდაუნი არ ამოქმედდა, ქვეყანა თანდათან ფეხზე დადგება და ბიზნესიც ამუშავდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წინასწარი შეფასებით, 2021 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4.0% შეადგინა, ხოლო პირველი კვარტლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა 4.2%-ით შემცირდა.

2021 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება, ტრანსპორტი და დასასვენებელი, ინფორმაცია და კომუნიკაცია. კლემის ტენდენცია დაფიქსირდა მშენებლობის, სამთომომპოვებითი მრეწველობის, ხელოვნების, გათბობისა და დასვენების სექტორებში”, - ნათქვამია საქსტატის ანგარიშში. საქართველოს ფინანსთა ახალმა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა პირველი შეფასება გააკეთა და აღნიშნა, რომ ეკონომიკის აღდგენის პროცესის

ტემპი იმაზე სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მოლოდინი იყო.

“რეალურად პირველი შემთხვევაა პანდემიის დაწყების შემდგომ, როცა დადებითი დინამიკა ფიქსირდება ეკონომიკურ ზრდაში. იგი ასევე გამოიხატა დღეს-ის გადახედვით ბრუნების ზრდაში, რომელმაც 20%-ს გადააჭარბა მიმდინარე თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მნიშვნელოვანია, რომ დადებითი დინამიკა გრძელდება ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში, საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ ეკონომიკის აღდგენის პროცესი დაწყებულია. ვფიქრობ, ეს არის უკვე არა ერთჯერადი, არამედ შეუქცევადი პროცესი”, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. რადგანაც მაჩვენებლები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დგინდება, ეკონომიკის გაზრდა მოსალოდნელია აპრილის თვეშიც და გაცილებით უფრო დიდც. ზუსტად ერთი წლის წინ საქართველოში მძიმე ვითარება იყო, პირველი ლოკდაუნის გამო. შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ აპრილში ეკონომიკამ ორნიშნა ზრდა კი აჩვენოს. ეკონომიკის დოქტორის, ირაკლი მაკალათიას იმედიანადაა და ხაზს უსვამს, რომ წლის დანარჩენ თვეებშიც მშპ-ს მკვეთრი მატება გეგმიანია. უნდა ვალია, რომ გამოცოცხლება დაწყებულია. წლის დანარჩენ თვეებშიც მაღალი ეკონომიკური ზრდა გეგმიანია. რომელიმე თვეში კი შეიძლება ორნიშნა მაჩვენებელიც დაფიქსირდეს. უზრალოდ, ეს გარემოება შემდეგ პოლიტიკოსებმა არ უნდა გამოყენონ სპეკულირებისთვის. ჩვენი მიზანი ჯერ კიდევ არის ის, რომ 2019 წლის მაჩვენებელს მივალნიოთ. მთავრობის პროგნოზირებული მაჩვენებლითად ვერ ვენერებს შარშანწინდელ მაჩვენებლებს”, - აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი მაკალათია.

კულტურა ძალეებს იკრებს

ოპერის თეატრში დღესასწაული დაიწყო!

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 170 წლის იუბილეს ზიიმობს.

11 და 13 აპრილს ამ თარიღს მიეძღვნა ორი კონცერტი - ქართული საოპერო მუსიკის შედევრები. მონაწილეობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ორკესტრი, ოპერის გუნდი და ყველა თამაშის სოლისტი.

სადირიფორო პულთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ცნობილი დირიჟორები: ზაზა აზმაიფარაშვილი, რევაზ ტაყაიძე და ახალგაზრდები: დავით მუქერია, კახაბერ სოლომონიშვილი და ლევან ჯაგაევი.

კონცერტის პირველ ნომრად შესრულდა ნანყვეტი ზაქარია ფალიაშვილის უკვედავი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

აღსანიშნავია, კონცერტებს ფონად გასდევდა ზაქარია ფალიაშვილის, ვიქტორ დოლიძის, დიმიტრი არაყიშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლალიძის, ბიძინა კვერცხიძის, მელიტონ ბალანჩივაძის ოპერებიდან გამორჩეული, პოპულარული არიები და საკონცერტო ნომრები.

მაყურებლის ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურეს მამუკა ლომიძემ, მაყვალა ასპანიძემ, ლევან მაკარიძემ, არმაზ დარაშვილმა გიორგი ლომისელმა, გიორგი მჭედლიშვილმა, ზურაბ იაშვილიმა, ირაკლი მურჯიკიშვილმა, მარიამ როინიშვილმა, ოთარ შიშინაშვილმა, ირინა ალექსიძემ, გია მახარაძემ, მანანა იორდანიშვილმა, ლეგი იმედაშვილმა, ალუდა თოდუამ, ტარიელ ჭიჭინაძემ, ირინა შერაზაძეშვილმა, მარიკა მაჩიტაძემ, კონსტანტინე ყიფიანმა, ნიკოლოზ ლავილიაძემ, ვახტანგ ჯაშაიშვილმა, სულხან გველესიანმა, ხათუნა ჭიხონელიძემ, ირინა იოსებიძემ,

ვანო გულუაშვილმა, კახაბერ თეთვაძემ.

კონცერტში მონაწილეობდნენ ჩვენი სახალხო არტისტები -ლიანა კალმახელიძე, თემურ გუგუშვილი, ელდარ გენაძე და სხვა.



სახელდახელო კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ ადამიანებს, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ ნიკო მაიაშვილის ერთადერთ ვაჟშვილს ვაშა მაიაშვილს - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მსოფლიოს მედიკოსების საერთაშორისო ასოციაციის სრულყოფილებიან წევრს პარიზში, სახალხო არტისტებზე, ლიანა კალმახელიძეზე, თემურ გუგუშვილზე და ელდარ გენაზე: „აბა რა კომენტარი უნდა გავაკეთო, მათზე ხომ უკვე ყველაფერი ითქვა და დაიწერა... სამივე ფლობს სილამაზითა და დიპაზონით გამორჩეულ

განსაკუთრებულ ხმას, რაც უფლებას მძლავრად შევადარო ისინი მსოფლიოში სახელგანთქმულ საოპერო მომღერლებს... კონიაკი რაც უფრო ძველია, მით უფრო არომატულია, ასევე მომღერალი... ქეთოს არიას ლიანასწორად

განსაკუთრებულ ხმას, რაც უფლებას მძლავრად შევადარო ისინი მსოფლიოში სახელგანთქმულ საოპერო მომღერლებს... კონიაკი რაც უფრო ძველია, მით უფრო არომატულია, ასევე მომღერალი... ქეთოს არიას ლიანასწორად

ვერავინ იმღერებდა! ასევე, თამამად შემძლია ვთქვა თემურზე-მინდიას მისწარად ვერავინ მღერის... ელდარი ჩემი მეგობარია, იგი დიდი მომღერალი და გამორჩეული ქართველია!“
ელაონრა გუგუშვილი, 90 წლის ექიმი-თერაპევტი:
-ქალბატონ ლიანა კალმახელიძეზე, მის ხელოვნებაზე საუბარი, ჩემთვის ძალზე სასიამოვნო და, ამავე დროს, საპასუხისმგებლო საქმეა. თანამედროვე გამორჩეული ერთ-ერთი უღამაზესი ხმა, შესანიშნავი გარეგნობა, რომელიც გასხვივსებულია მისი შინაგანი ელვა-

რებით, არტისტიზმითა და დიდი ტემპერამენტით. მის სოლო-კონცერტებს სისტემატურად ვესწრებოდი ოპერის თეატრის წითელ დარბაზში, იგი ერთნაირად ფლობს სასიმღერო ფორტესა და პიანოს. მაღალ რეგისტრში კი ხმა იძენს საოცარ ელვარებას, რომელიც ოსტატურად გადააწყვეს თითქმის პერიოდულ ჟღერადობაში. უდიდესი სიამოვნება მომანიჭეს 13 აპრილს კონცერტში მონაწილე სოლისტებმა თითოეულ მათგანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, რომ დიდხანს ისმოდეს მათი ხმა საოპერო თეატრის სცენიდან. აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ოპერის მთავარ ადმინისტრატორს ნინო მუსერდიეს, რომელიც პანდემიამდე, გამონაკლისის სახით, ყოველთვის გვასწრებდა ე.წ. „მაგდარის“ წევრებს საოპერო სექტაკლებს.
ნანი საბანაძე, პოეტი: „მუსიკა, მხატვრობა, პოეზია დიდი ხელოვნების ფსკერიდან ამოღებული საგანძური და ნიჭია, რომლითაც ავილდოვებს ადამიანებს.“

ცნობილმა ახალგაზრდა ტენორმა არმაზ დარაშვილმა ბრწყინვალედ იმღერა ოპერა „დაისიდან“ მალხაზის არია, სადაც მომღერალი თავის ღრმა განცდებში ერის ხასიათის „ფერწერულ კვალს“ ტოვებს. აღსანიშნავია გიორგი ლომისელის უზადოდ შესრულებული ამავე ოპერიდან კიაზოს არია „სულო ბოროტო“, რომელსაც ტკივილნარევი ხასიათით გადმოსცემს და ბევრ რამეზე აფიქრებს მაყურებელს...
ერთწლიანი პანდემიური ლოდინის შემდეგ ოპერის თეატრში დიდი დღესასწაული შედგა...დღემთმა მშვიდობა და ჯანმრთელობა მოგვცეს, რომ თეატრალური სეზონი ისევე არ ჩაიშალოს!

ნანა ჭიჭინაძე

ძველი სააღდგომო ტრადიციები საქართველოსა და მსოფლიოში

მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყანაში, აღდგომას სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. საერთო და უცვლელია მხოლოდ კვერცხების ნიშნად შეღებვის ტრადიცია, რომლის თანახმადაც სააღდგომო კვერცხები ნიშნად, ნიშნად პარასკევს მზის ჩასვლამდე იღებენ. კვერცხის შესაღებად ძირითადად ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ ხაზვის ფურცლებსაც უმატებენ. თანამედროვე საქართველოში, სხვა და სხვა კუთხის სააღდგომო ტრადიციები ერთმანეთს დაემსგავსა, თუმცა წარსულში განსხვავება თვალშისაცემი იყო. ამ დღესასწაულს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის წარმომადგენლების სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ.

სააღდგომო წეს-ჩვეულებებში შედის: კვერცხის შეღებვა, სააღდგომო გართობა-თამაშობები, მიცვალებულის გახსენებასთან დაკავშირებული ტრადიციები - საფლავზე გასვლა, ნათიების მიერ ნათლულებისთვის მილოცვა, სააღდგომო სუფრის ხის მწვანე ტოტებით მორთვა და სხვა.

მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სააღდგომო განწყობის შექმნის მილოცვა, რომელსაც ჭონაზე სიარული ერქვა. ეს არის „შემოვლითი შემოლოცვის“ ერთგვარი რიტუალი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სოფლის ახალგაზრდები და ბავშვები ასრულებდნენ დიდ ხუთშაბათს, დიდ შაბათს ან აღდგომა დღეს. ისინი ზოგჯერ ნიღბებს იკეთებდნენ და თავიანთი სოფლის ყველა ოჯახს, ხშირად კი სხვა სოფლებსაც შემოვივლიდნენ ხოლმე მისალოცი სიმღერით. ამის დასტურია სარიტუალო სიმღერის შემდეგი სტრიქონები: „ქვემოთ ქართლიდან წამოვივლ, / შემოვივარ დღერიო, / აწყვრამდის უზმო ვიარე, / იქ დავიბანე პირიო, / ნინომ რომ კვერცხი შეღება, / ის არის შობის პირიო“.

ჭონაზე მოსიარულენი სოფელ-სოფელ კალათებით დადიოდნენ. მათ სხვადასხვა სურსათ-სანოვანით ასაჩუქრებდნენ: კვერცხით, ფქვილით, ხილით... არსებობს ამ წეს-ჩვეულების ამსახველი ძალიან ცნობილი სტროფები, რომელსაც სხვა შემოვლითი რიტუალების დროსაც ასრულებდნენ: „ალათასა, ბალათასა, / ხელი ჩავკარ კალათასა, / დედი, კვერცხი გამოიტა, / ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.



და კიდევ: „ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე, / ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა, / ყველა წმინდა ღვთისმშობელი / სულ ამ ოჯახს ეხვეოდა“; „სიცოცხლე და დღეგრძელობა / სულ თქვენს ოჯახს ეხვეოდა“; „ქრისტე აღსდგა, გიხაროდენ! მაღლი მახარობისაო!“; „ჩიტი ღობეზე შემოჯდა, / იძახდა ქიშიშიშობასა, ღმერთმა მრავალსა დაგასწროთ / აღდგომა-ქრისტეს შობასა!“

მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა ჭონაზე მისულთ, ასაჩუქრებდნენ, ოჯახს დაალოცვინებდნენ და მხიარულად ისტუმრებდნენ.

ქრისტეს აღდგომით გამოწვეულ სიხარულთან ერთად ამ რიტუალს გლეხისთვის ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, რომელიც წარმატებულ სამეურნეო წელთან იყო დაკავშირებული: ხვავსა და ბარაქასთან, სურვილების შესრულებასთან.

სააღდგომო წეს-ჩვეულებებში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სააღდგომო კვერცხს, როგორც ახალი სიცოცხლის სიმბოლო. შუასაუკუნეებში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვერცხებს ეკლესიაში აკურთხებდნენ და ყველაზე წმინდა საჩუქრად მიაჩნდათ. ქართული

ტრადიციის თანახმად, კვერცხი ნიშნად პარასკევს იღებებოდა, მაგრამ მხოლოდ აღდგომის დღესასწაულის შემდეგ იწყებოდა ნიშნად კვერცხების გაცემა, გაჩუქება და ჩატეხვა. სააღდგომო კვერცხის სხვისთვის გატეხვა კარგ ნიშნად ითვლებოდა.

ტრადიციის მიხედვით, სააღდგომო რაიმესთვის აუცილებლად უნდა „დაეღინებინათ სისხლი“, იქნებოდა ეს ქათამი, ინდაური თუ გოჭი. აღდგომას სამი კვირის განმავლობაში დღესასწაულობდნენ. აღდგომის პირველი სწორი ასევე დიდი დღესასწაული იყო და მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: ახალკვირა, კვირაცხოვლობა, „უფლის-უფლიო“ (სვანეთში)... სხვათა შორის, სვანეთში სააღდგომო სუფრაზე მიცვალებულთათვის განკუთვნილი მწვანე ტოტის ანუ რიტუალური „კამარაის“ დადგმა იცოდნენ. „კამარაი“ რომელიმე ადგილობრივი მცენარის, ხშირად ნაძვის ნახევარწრედ მოღუნული ტოტია, რომელზეც ყველანაირ ხილს, შეღებილ კვერცხებს, პურის თავთავებს, დანულ ყველს, ყველისგან გაკეთებულ სხვადასხვა ფრინველსა თუ ცხოველის გამოსახულებებს კიდებდნენ, შემდეგ კი ხეს ორივე მხრიდან სანთლებს უნთებდნენ. „კამარაი“ აღდგომის გარდა, მიცვალებულებისთვის ორმოცა და წლისთავზეც იდგმებოდა.

აღდგომიდან ამაღლების დღესასწაულამდე, ორმოცი დღის განმავლობაში, ქრისტიანები შეხვედრისას „გამარჯობის“ ნაცვლად ერთმანეთს ახარებდნენ: „ქრისტე აღდგა!“, „ჭეშმარიტად აღდგა!“

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში მცხადრად არის დამკვიდრებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მიცვალებულებთან დაკავშირებული ტრადიცია. ეს ტრადიცია ათეისტურ საბჭოთა პერიოდში წარმოიშვა. რადგან აღდგომა კვირა დღე — დასვენების დღე იყო, ადამიანები თავიანთი მიცვალებულების საფლავზე გასვლას მხოლოდ ამ დღეს ახერხებდნენ. აღდგომას საფლავზე გასვლის ტრადიცია ბევრგან დღემდე შემორჩენილი, რაც არასწორია, რადგან აღდგომა ცოცხალთა დღესასწაულია და ეს დღე მორწმუნეებმა სხვაგვარად უნდა გაატარონ. სააღდგომო სასწაული დღეებში მორწმუნე ქრისტიანს მიცვალებულის დატყობა და გლოვა დიდ ცოდვად ეთვლება. მიცვალებულთა მოხსენიების დღე აღდგომიდან მეცხრე დღეა — სამშაბათი.

ქველი სააღდგომო ტრადიციები რაჭაში
რაჭაში სააღდგომო ნიშნად დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ. თონეში ლავაშებს აცხობდნენ. ნიშნად შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა.

აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. აცხობდნენ ღობიანებს, შეკეცილთა იხარებოდა ხორცი და მართავდნენ დიდ ქეიფს. გარდა ამისა გადმოცემის მიხედვით, რაჭის ერთ-ერთ ეკლესიაში, გრძელი მილის ფორმის საკრავი ინახებოდა, რომელიც საკმაოდ მოზრდილი ყოფილა. მასზე ყველა ვერ უკრავდა. შიგ კარგად რომ ჩაებერა, დამკვრელი ძლიერი უნდა ყოფილიყო. საკრავი მეჭონებს თავიანთი მსველელობის დროს დაჰქონდათ და თითოეულ ეზოში სიმღერის ნაცვლად მასში სამეურ ჩაჰბერდნენ. ნასიამოვნები მასპინძელი კი სააღდგომო კვერცხებითა და ტკბილი კვერებით ასაჩუქრებდა.

ქველი სააღდგომო ტრადიციები კახეთში
კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონი სხვაფლავზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იმლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ებატყებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ.

ქველი სააღდგომო ტრადიციები გურიაში
გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ღლეო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს

ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბრონეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

ქველი სააღდგომო ტრადიციები სამეგრელოში
სამეგრელოში სააღდგომო ნიშნად შუალამით იწყებოდა. ტაძარი ხალხით ივსებოდა და ყველგან უამრავი სანთელიწებო. ბოლოს „ქრისტე აღდგას“ გალობით ყველანი შინ ბრუნდებოდნენ.

ქველი სააღდგომო ტრადიციები სანათოში
მთავრი ეკლესიისკენ და იქ ესწრებოდნენ საზეიმო ნიშნად, დილით კი გადიოდნენ სასაფლაოზე. სააღდგომო ზარ-ზეიმი გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში და დიდი მასშტაბურობით სრულდებოდა კვირაცხოვლობის დღესასწაულით.

ძველი სააღდგომო ტრადიციები თბილისში

ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიული წყაროების თანახმად, საზეიმო ნიშნის დასრულების შემდეგ საქართველოს მეფე, თავადები და აზნაურები დღევანდელი ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ისრით სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულს აჯილდოებდნენ ოქროს ან ვერცხლის თასით. სწორედ აღნიშნული თასის ჩამოგდება გახლდათ შეჯიბრების შინაარსი და მისი მონაწილეების მიზანი.

სააღდგომო ანასა
გადმოცემის თანახმად პასკის შემოსვლამდე, საქართველოში აცხობდნენ ე.წ. სააღდგომო პადებს. თანამედროვე აღდგომის განუყოფელ ნაწილს ქვეული პასკები კი ჩვენს ქვეყანაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შემოვიდა.

აღდგომა თანაფორუა საპატრიარქოში
ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დედაქალაქში დასახლების გამო, დღეს, სააღდგომო ტრადიციებს შორის უმთავრეს ტრადიციად, თბილისიდან გასვლა იქცა.

მრავალფეროვანი ტრადიციები უკავშირდება აღდგომას მსოფლიოს დანარჩენ ქრისტიანულ ქვეყნებშიც.

სლოვაკია
საბერძნეთში მართლმადიდებლური ქვეყანაა, ამიტომ აქ დაახლოებით ისეთივე ტრადიციებია, როგორც საქართველოში. სააღდგომო კვერცხებს ღებავენ და შაბათ საღამომდე ინახავენ. მორწმუნეები აღდგომის წინა საღამოს ტაძარში ღოცვაზე ანთებული თეთრი სანთლებით მიდიან, შუალამეს სანთლებს ყველა აქრობს. ანთებული სანთლები ქრისტეს აღდგომას განასახიერებს.

ბერძენთა სააღდგომო სუფრა ბუნებაში იმართება. აქ აუცილებლად იხსენებარეცხან ანუ წინა წლის მოსავლის პირველი ღვინო და წვავენ პატარა ბატკნებს. განსაკუთრებულ მხიარულ გარემოს ქმნის ბერძნული სიმღერები და ცეკვა, რომელიც დილაზე გრძელდება. აღდგომა აქ მთელი კვირის განმავლობაში აღინიშნება და ამ პერიოდში ყველა ისევებს.

საზრანბეთში ხუთშაბათიდან შაბათის ჩათვლით ზარებს არ რეკავენ. სიმბოლურად ეს იესოს წამებისა და სიკვდილის მწუხარების გამოხატულებაა. როგორც კი დაიწყება ზარების რეკვა ერთმანეთს ულოცავენ ქრისტეს აღდგომას, შემდეგ კი ტრადიციულად ერთმანეთს შეღებილ კვერცხებს ჩუქნიან და ერთმანეთს ეჯიბრებიან გატეხვამდე. აქ ძირითადად ნიშნად, ყვითელ და მწვანე ფერებში იღებენ კვერცხი. ისინი მოკოლადის კვერცხებსაც ამზადებენ და ბავშვებს უმაღავენ საპოვნელად.

იტალიაში აცხობენ სააღდგომო ტორტს, მარილიან ღვეხელს ისპანახითა და მოხარული კვერცხებით, რომელსაც ეკლესიის გუმბათის ფორმა აქვს. ასევე იტალიურ კულიჩს, პანეტონეს, რომელსაც ქიშიშითა და ნუშით რთავენ. ისინი ვენების პარასკევს ქუჩაში ჯვრებითა და სანთლებით ხელში აწყობენ მსველეობას ვატიკანიდან კოლიზეუმამდე და ერთმანეთს გზას



უნათებენ. ბერძენთაში თავდაპირველად ძველი გერმანელები ამ დღეს გაზაფხულის ბუნიაობას აღნიშნავდნენ და გაზაფხულისა და ნაყოფიერების ქალღმერთს ადიდებდნენ. მოგვიანებით ეს წარმართული ტრადიცია ქრისტეს აღდგომასთან გაერთიანდა.

ისინი აღდგომის კვირამდე, შაბათს სააღდგომო კოცონს ანთებენ, ეს სიმბოლურად ყველა უარყოფითი ენერჯისა და გრძნობის მოშორებად ითვლება. კვერცხს ადრე სიცოცხლისა და ნაყოფიერების მნიშვნელობა თუ ჰქონდა, ახლა ახალი სიცოცხლისა და ახალი ალტემის სიმბოლოდ იქცა. აქ კვერცხებს ძირითადად ნიშნად ღებავენ. გერმანული აღდგომის ტრადიციული პერსონაჟი კურდღელია, რომელიც ძველგერმანულ კულტს უკავშირდება და ხალხური თქმულების მიხედვით, საარდგომო კვერცხები მოაქვს.

პოლონეთში აღდგომის დღესა და ორშაბათს ზეიმობენ. ადგომა დღე ტრადიციული მესით იწყება, ამის შემდეგ კი ყველა ოჯახში სუფრა იშლება, სადაც ოჯახის ყველა წევრი იკრიბება. საუზმეზე ნაკურთხ პასკას, კვერცხებს, მდოგვს, ხორცსა და ძეხვს მიირთმევენ. აღდგომის მეორე დღეს „სველ ორშაბათს“ უწოდებენ, რადგან ამ დღეს პოლონელები ერთმანეთს წყლით წუნავენ.

რუმინეთში დიდი ხუთშაბათიდან დასვენება და მზადება იწყება აღდგომის დღესასწაულისთვის. აცხობენ კულიჩებს, ღებავენ კვერცხებს. პასკას ჯვრით რთავენ და ნაწნავის ფორმას აძლევენ. ჯვრის ოთხივე მხარეს ხაჭოს დებენ. ტრადიციის მიხედვით რუმინელები ბატკანსაც წვავენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სააღდგომო სუფრაზე მას.

ინგლისში აღდგომა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი დღეა, ნამდვილი შოკოლადის დღესასწაული, მხიარული და სახალისო. ტაძრებში მზის ამოსვლისას მიმდინარეობს ღვთისმსახურება. ტარდება ორლანზე შესრულებული კონცერტები. აღდგომას ყველა ახალი ტანსაცმლის ჩაცმას ცდილობს, ვინაიდან სიმბოლურად ცუდი ამინდის სეზონის დასრულებასა და გაზაფხულის დადგომას აღნიშნავენ. აცხობენ ჯვრის ფორმის სააღდგომო ფუნთუშებს, ღებავენ კვერცხებს ან ამზადებენ მას მოკოლადისგან. ისინი მართავენ კვერცხის ძეხვში შეჯიბრებებს, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ.

აშშ-ში აღდგომა დღეს ტრადიციის მიხედვით დაქანებულ გაზონზე აგორებენ კვერცხებს, ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ვინც უფრო შორს გააგორებს კვერცხს გამარჯვებულიც ის არის. ბოსტონში აღდგომის მოსვლასთან ერთად დახლებზე მოსე ნინასწარმეტყველისა და იესო ქრისტეს მოლაპარაკე თოჯინები ჩნდებიან. ეს იდეა ერთ-ერთ ოჯახურ წყევლს გაუჩნდა, რომლებიც შვილს ბიბლიას ასწავლიდნენ.

ამ დღეს ტრადიციის მიხედვით, პრეზიდენტმა ბავშვებს თეთრ სახლში უნდა უმასპინძლოს და საარდგომო კვერცხები მისცეს. პრაზილიაში ძირითადად კათოლიკე ქრისტიანები ცხოვრობენ. აქ სააღდგომო ტრადიციები რამდენიმე საუკუნის წინ გერმანელებს ჩაუტანიათ. სააღდგომო კურდღელი და ფერადი კვერცხები, ბრაზილიელები ადრე იწყებენ ამ დღესასწაულისთვის მზადებას, მათი სუფრა ძირითადად ტკბილეულისგან შედგება და ერთმანეთს საზეიმოდ ჩუქნიან მოკოლადის კვერცხებს, რომლებშიც სათამაშობია.

გამოსათხრობარი


იზა ბაიდოშვილი



ძალიან ძნელია შენზე წარსულ დროში საუბარი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული, ქოთქოთა...სამწუხაროდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიასთანამშრომელი გამოაკლდა...ჩვენი იზა, პატარა გოგო მოხვედი და 43 წელი უანგაროდ ემსახურე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, საკუთარი საქმის პროფესიონალი იყავი, დაუნარელი, არასოდეს გილაღატა სამსახურისთვის. კოვიდ-19-ის ვირუსი საკმაოდ მძიმედ გადაიტანე, თითქმის დაამარცხე. სამსახურშიც დაბრუნდი, თუმცა, ჯანმრთელობის მოულოდნელმა გაუარესებამ, უცბად ჩააქრო შენი ჩვეული ენერჯია და შემართება. რატომღაც, არ ველოდით ასეთ შედეგს, გვეჯეროდა, რომ ისევ დადგებოდი ფეხზე, დაგვიბრუნებოდი და ჩვეული ხალისით გააგრძელებდი საქმიანობას. ვაი, რომ ველარასოდეს შემოაღებ სამსახურის კარს, ვაი, რომ დამშვიდობება გვენეცს. მადლობა თანამშრომლობისთვის, მადლობა გვერდზე დგომისთვის, ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი


გიორგი ჰოპიაშვილი



მეექვსედ მოვიდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული უშენოდ. 2015 წლის 10 აპრილს, ნითელი პარასკევის მძიმე დღეს, სიკვდილთან წელიწადნახევრიანი ბრძოლის შემდეგ, სარეცელს მიჯაჭვულმა და უიმედომ, ფარხმალ დაყარე და დატოვე ეს ქვეყანა, რომელიც ძალიან გიყვარდა. შენ მაშინ 74 წლის იყავ. 2 აპრილი შენი დაბადების დღეა, 80 წლის გახდებოდი. რა გულდასანწყვეტია, რომ ერთად ვერ აღვნიშნეთ ეს საიუბილეო წელი. მშრომელი, ნესიერი, პატიოსანი კაცის სახელი დაუტოვე ოჯახს - შენს შვილებს, შვილიშვილებს. რამდენი რამ მოხდა უშენოდ: - შენი გაზრდილი ნია მეოთხე კურსის სტუდენტია, შენი მოსახელე, შენთვის უცნობი პატარა გოგონა პოპიაშვილი 6 მაისს 6 წლის გახდება. ოქროს დაბადების დღეზე შენს სახელზე ოქროს ბეჭედს ვაჩუქებ, რომ წლების შემდეგ, როდესაც მე და შენ უკვე ამქვეყნად აღარ ვიქნებით, თავის რჩეულს მიართვას. ეს იქნება ჩვენი სახელის უკვდავყოფის ერთი პატარა შტრიხი მათ ცხოვრებაში. დედაქალაქიდან მომავალი შენი შვილები ჯერ შენს სამუდამო განსასვენებელს სტუმრობენ, სახელს გინთებენ, თავისი ცხოვრების „ანგარიშს“ გაბრუნებენ და მერე მოდიან ჩემთან. იცნან, რომ ეს არა მარტო შენი მონატრება და ხსოვნის პატივისცემაა, არამედ ჩემი გულის მოგებაც. ისინი ჩვენს ამაგს სათანადოდ აფასებენ, რაც მე ძალიან მიხარია. არასოდეს აკლია შენს სულს ლოცვა და სანთელ-საკმეველი. ნათელში იყავ, ძვირფასო, სულის სიმშვიდე გქონდეს ზეციურ საფლავში.

შენი მეუღლე ნაირა გორაშვილი - ჰოპიაშვილი

გიორგი ღორაშვილი



ჩვენო ძვირფასო მამა, ოცდამეოთხეტი წელი სრულდება, რაც ზეციურ საფლავში გადინა. მაშინ სამოცდაოთხი წლის იყავ და, საოცარია, რომ „დიდი კაცი“ გვეგონე უკვე. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებთ ამ ამბავს, რა ახალგაზრდა ყოფილხარ ჯერ კიდევ. ახლა ჩვენ, სამივე, შენზე დიდები ვართ, მაგრამ ისევ ბავშვური გრძნობით გვენატრები. წელს შენი დაბადების 100 წლისთავია, მამა. ცხოვრებაში არიან იშვიათი, გამოჩაჩივნი, ბედნიერი ადამიანები, ამ ასაკს, რომ აღწევენ და შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მზრუნველობით განებივრებული ცხოვრობენ ამ ქვეყნად. შენ არ აღმოჩნდი ასეთი ილზიანი. ის კი არა, ამ საყოველთაო პანდემიის გამო, სათანადოდ ვერც კი აღვნიშნეთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი. სამაგიეროდ, გვახსოვს, როგორი ზარ-ზეიმით მოგლოცეთ 60 წლისთავი. ის ბოლო სიხარული იყო შენთვის, რადგან სულ რაღაც 1 თვეში უკურნებელი ხელი დაგიდგინდა. 4 წელი ძალდაძალ გაცოცხლეთ ნამალ-ეჭიძითა და ხელმეხეობით. ვერაფერი გავანყეთ სიკვდილთან. დღესაც ყურებში გვესმის შენი დობილის - ხვამანას უმშენიერესი ქალის, დარიკოს შეკვიფება: - „რა დროს შენი სიკვდილია, ბიჭო გოგიაო“. მწარედ დაგიტორა დიდმა სანათესაომ, სამეგობრომ, მთელმა სოფელმა გამარჯვებამ, იმიტომ, რომ კარგი ადამიანი იყავ. მშრომელი, გულალომი, შვილებსა და ოჯახს თავგანდამკვდავი. შენს მერე ცხოვრებამ თავისი დიხებით იარა - დანიზარდნენ შენი შვილიშვილები, დაოჯახდნენ, შვილთაშვილებით აივსე, შენს წილადაც გვეფერებოდა და ზრუნვას არ გვაკლებდა ჩვენი საყვარელი დედა - ბაბუღია, დედობის და ერთგულების ეტალონი ქალი. არც მან იცოცხლა ხანგრძლივად, 74 წლის ასაკში დაგვტოვა და გული ძალიან დაგვწყევტა. ახლა მანდ, იმქვეყნიურ სოფელში, ერთად ხართ ჩვენი დიდი ოჯახის ძირითადი შემადგენლობა. სანდრო პაპა და მანანა ბებია, თხიზვე ძმა: გოგია, შალვა, ვასილი და თენგიზი, რძლები: ბაბუღია, თინა და ნორა, ბიძაშვილები: შოთა, ტარიელი, მერაბი და სპარტაკი. მანდ არიან შენი საყვარელი სიძეები გიორგი პოპიაშვილი და გვამალ მანაშვილი. ჩვენ თუ შენი სულის მოსახსენიებლად ვლოცულობთ, სახელს ვანთებთ, საკმეველს გიკმევთ და უფალს ვავედრებთ, რათა დაგიმკვიდროთ სასუფეველი მართალთა შორის. თქვენი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულში.

შენი შვილები: ნაირა, ცინელი და გულნარა ოჯახბაი

მაია ჯანიაშვილი



ჩემო ძვირფასო და ერთადერთო, ჩემო მშვენიერო შვილო მაია, ტკივილიანი და მონატრების გრძნობით მტანჯველი ერთი წელი მიილია შენი გარდაცვალებიდან. უკურნებელი სენით შეპყრობილი სიკვდილის შორეულ საფრანგეთში გაეცეცი, ოპერაციაც იქ გაიკეთე, მაგრამ მის კლანჭებს ვერ დაუტყერი. იქ, უცხო ქვეყანაში გიყელა და შენი ქალიშვილის - მარიამის დიდი მცდელობის მიუხედავად, უშედეგოდ დამთავრდა. რთული პერიოდი დაგვემთხვა-პანდემიამ ყველა გზა ჩაკეტა, მაგრამ შენმა შვილმა, ჩვენი მთავრობის დახმარებით, მაინც მოახერხა, შენი სამშობლოში გადმოსვენება, თვითონ კი დღემდე ვერ მოახერხა უკან დაბრუნება და საფრანგეთშია ჩარჩენილი. სამშობლოში კი შენმა მეუღლემ ზაზამ, ვაჟმა გიორგიმ გიპატრონეს და მშობლიურ მიწას მიგაბარეს. ტკივილით სავსეა იმ დღეების გახსენება, ჩვენ შენი სახის დანახვაც კი არ გვეღირსა. თავადაც მშვენიერი იყავი და ათეული წლები თბილისში, ვაკის ერთ-ერთ პრესტიჟულ საკუთარ სალონში ადამიანების გალამაზებას ემსახურებოდი დედის - ლილისა ჯანიაშვილის კვალს გაყოლილი. 47 წლის ასაკში, სრულიად ახალგაზრდა, ცხოვრებაზე თვალდარჩენილი ნახვედი ამ ქვეყნიდან და მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვე. შენ ვერ გაიგე ტყუპი შვილიშვილები-გეგეტონი და ანასტასია რომ დაიბადნენ. ვერ გაიხარე მათთან ერთად. ნარმოუდგენლად ძნელია უცოლ-შვილოდ დარჩენილი ჩემი ცხოვრება, მაგრამ შვილიშვილების და შვილთაშვილების საცქერლად დამტოვა უფალმა და ცოდვას ვერ ჩავიდენ, მწარეა ჩემი სიცოცხლე, მაგრამ... დაველოდები უფლის ნებას, როდესაც თქვენს თავს შემახვედრებს. ნათელი დაგიმკვიდროთ ღმერთმა.

შენი მონატრებული მამა - ზემისო ჯანიაშვილი დედოფლისწყარო

სამი მშვენიერი ქალბატონის მონატრება

მთელმა დედოფლისწყარომ და, არამარტო დედოფლისწყარომ, დიდი გულისტკივილით განიცადა ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურის რჩეული თანამშრომლების თამარიძე ოჯახში, მარინა ცხველიაშვილის და იზა ბაიდოშვილის უდროოდ გარდაცვალება. ეს სამწუხარო ამბავი, უსაყვარლესი ოჯახების შემდეგ, მძიმედ განიცადეს მათმა მეგობრებმა, თანამშრომლებმა, მეზობლებმა, ახლობლებმა, მნივნილბარათა ასოციაციის წევრებმა, რადგან ისინი ამ ორგანიზაციის აქტიური წევრები და გულშემატკივრები იყვნენ. ვისაც ერგო ბედნიერება თამარიკოსთან, მარინასთან და იზასთან ემეგობრა, ან სულაც, უბრალოდ, ნაცნობობაც კი ჰქონოდა, ყოველთვის ემხსოვრება ეს მშვენიერი ქალბატონები. ამ შესანიშნავ სამეუფო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი ჰქონდათ წარჩინებით დამთავრებული. აკი, ამიტომაც, ეტყობოდა მათ ნარმატებულ საქმიანობას ის

ფუნდამენტალური ცოდნა, რასაც დედა უნივერსიტეტი ყოველთვის იძლეოდა. ეს თხემით ტერფამდე ინტელიგენტები, ულამაზესი გარეგნობის, სიკეთით სავსე და ნიჭიერი ქალბატონები, უკვე მარადისობის მკვიდრნი გახდნენ. მათი ხსოვნა კი დიდხანს დარჩება მათი თანამედროვეების მესხიერებაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მნივნილბარათა ასოციაციის სახელით: ნანა შიჭინაძე, ნინო ფიროსმანაშვილი, ლეონი ბაიაშვილი, ინა პიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი

ილიკო შარვაძე



გაიღვიდა ბუნებამ, მოვიდა გაზაფხული, ყვავის ირვლივ ყველაფერი და საამო სურნელს აფრქევს. ამ სილამაზის შემხვედრად ადამიანი განწყობას გამოხატავს ალტაცების გამოხატველი სიტყვებით: „ეს სილამაზე მკვდარსაც კი გააცოცხლებსო“. მაგრამ ვაი, რომ ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია - მკვდარს აღარაფერი აღარ აცოცხლებს, ჩემო ერთადერთო ბიჭო.

მე კი ამ სილამაზემ უფრო მეტად მაგრძობინა უშენობით გამოწვეული ტკივილი. გილოცავ გაზაფხულის დადგომას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. უკვე მეცხრედ მოვიდა აღდგომა უშენოდ, დიდ ტკივილსა და მოლოდინში გაილია ეს წლები, შვილო. ბედისწერამ არ გაცალა სიცოცხლე და 38 წლის ასაკში მუყურთდი მარადისობას. ბუნებამ ახალი სიცოცხლე დაიწყო, მაგრამ შენ ველარ დაიწყებ ახალ ცხოვრებას, რადგან მზის სხივები ისე ვერ გაათბობს მინის იმ პატარა ნაწილს, რომ შენც გაგაღვიძოს და სიცოცხლე დაგებრუნოს. შენი უბედური დედა გილოცავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, „ქრისტე აღსდგა“, ჩემო ილიკო, მაგრამ რა მძიმეა დედისთვის რომ ველარ მოისმენს შენგან - „ჭეშმარიტადო“.

განგებამ მწარე ხედრი მარგუნა, მაგრამ უნდა გაუძლო, რადგან იმედით შევყურებ შენს შვილებს - ნიას და ილიკოს, ისინი არიან ჩემი იმედი შენს შემდეგ. ამ ცხრა წლის მანძილზე უკვე გაიზარდნენ შენი პატარა შვილები, ილიკო 11 წლისაა, ის ხომ ორი წლის ასაკში დატოვე და არც კი ახსოვხარ, შვილო. შენი პირველი სიხარულის, შენი ნიას ამბავით მიხდა გაგახარო და მოგილოცო მისი გაბედნიერება, ჩემო ილიკო. ჩემო მარად ახალგაზრდა ვაჟკაცო, სიმამრი გახდი, შვილო, სიმამრი! ვერ წარმომიდგენია შენი სიმამრობა, შენ ხომ თვითონ იყავი ახალგაზრდა სიძე, მაგრამ არც ბედნიერი სიძობა გარგუნა განგებამ და სიმამრობა კი ბედისწერამ არ გაცალა. დალოცე მაინდან შენი ნია და უცნობი სიძე ნიკა. უსურვე მათ ბედნიერი და ლამაზი ოჯახის შექმნა, მისაბაძი მუელლე და დედა ყოფილიყოს და შენი სახელი არ შეერცხვიოთ, შვილო.

ჩემო ილიკო, ეს ამბავი რომ გავიგე, დიდი ტკივილი და დიდი სიხარული ერთმანეთს შეეჯახა და აშკარად ვიგრძენი, რომ შვილის დიდმა მოუშუშებელმა ტკივილმა მაინც გადაწონა და ბოლომდე არ შემაგრძობინა შვილიშვილის ბედნიერების სიხარული ისე, როგორც შენს სიცოცხლეში შევიგრძნობდი ამას. რაც დრო გადის, უფრო მეტად მეძალეა მონატრება ერთადერთი შვილის, რომელსაც იცი, რომ ველარასოდეს ნახავ, იცი, ეს და არ გიუფლები. დედის თვალები სულ შენს გზას გამოჰყურებს, იცის, არ მოხვალ და მაინც გელოდება. გული შენს მოლოდინში დაიღალა, შვილო, ლოდინი ხომ იმედია მარადიულ შეხვედრამდე. სამოთხეში გამყოფით მამა-შვილი. ჩემმა ანთებულმა სახთლებმა გაგინათოთ გზა, სასუფეველში გქონდეთ ადგილი მართალთა შორის. მიხვ, თბილო და მსუბუქე, დედა-სავით ტკბილად ჩაიხუტე ჩემი ერთადერთი შვილი გულში და არაფერი გაუტორო მას.

მე დიდი ვალდებულება მაქვს თქვენს წინაშე, რათა მოვიგონო ჩემი საყვარელი ქმარ-შვილი, ჩემი გამზრდელი მშობლები და პატივი მივაგო თქვენს ხსოვნას, ნათელში იყოს თქვენი სულები, მარადიული ხსოვნა და არდავიწყება. რაც დრო გადის ვგრძნობ, როგორ უფრო მეტად ვიხსოვრებით, ასეთი ყოფილი ჩვენი ბები, დამელოდეთ, ჩემო ძვირფასებო.

შენი მონატრებული დედა: ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

ბივი იაკობიშვილი

ოცდამესამე გაზაფხული მოვიდა უშენოდ, ჩემო გივი. ორმოცი წელი გავატარეთ ერთად, სამი ვაჟი გავზარდეთ, სამივე დავაბინავეთ, შვილიშვილების დაბადებას მოესწარი, მაგრამ მათ გაზრდას-ველარ. 64 წლისა ნახვედი ამქვეყნიდან და ბევრი სიხარული დაგაკლდა. მთელი სიცოცხლე შრომაში გაატარე. შენი ხელით ამენებული სახლები დღესაც ამშვენებს ჩვენს სოფელს. სუფთა ხელი და ალალი გული გქონდა, ამიტომ ყველა გავსაუბრა, პატივს გცემდა. არასდროს დაგირიგია ბედის უკუღმართობა, მადლობელი იყავი, უფლისგან რაც გქონდა ნაბოძები. ბოლო წლებში შენმა დაავადებამ ძალიან გაგანვალა, რამდენიმე ოპერაცია გაგიკეთეთ, მაგრამ უშედეგოდ. შენ ნახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. მე ახლა რვა შვილიშვილის და ცამეტი შვილთაშვილის პატრონი ვარ და თითოეული მათგანის დანახვა მამბენიერებს, თუმცა, გული ძალიან მწყდება, რომ შენ ვერ გაიხარე მათთან ერთად. ჩვენ კი სულ გვენატრები, პატივს ვცემთ შენს ხსოვნას. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს.

მეუღლე გულო იაკობიშვილი სოფელი სამრეკლო

თამარ ზაქარაიშვილი

ჩემო ძვირფასო დედა, 5 მაისს ერთი წელი შესრულდება, რაც მე და შენ ერთმანეთს დაგვმორდით. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხანდაზმული, 93 წლის იყავი, ჩვენი დაშორება მაინც ვერასდროს წარმოუდგენია, რადგან ერთმანეთზე ძალიან ვიყავით დამოკიდებული. ბოლო ხუთი წელი კი ძალიან გაგიჭირდა, მესხიერებამაც კი დამტყუხა და ფიზიკურადც დაუძლურდი, მაგრამ მე შენი მოვლა არ მომეზურდა, დღესაც ძალიან მენატრები. ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრების გზა გაიარე. სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუღაანში დაიბადე და გაიზარდი, საბოლოო ბინა კი ოზანში დაიდე და ერთგულად ემსახურე შენს ოჯახსაც და სოფელსაც. ორი უმაღლესი დამთავრებული-იურიდიული და პედაგოგიური. ორივე ნარმატებით გამოიყენე. წლები ასწავლიდი სკოლაში ბიოლოგიას. შენი ორგანიზატორული უნარის გამო, საბავშვო ბაღის გამგედ დაგინიშნეს, 13 წელი ემსახურე პატარების გაზრდას და აღზრდას. 1976 წელს სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს და შენი ხელმძღვანელობით ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა სოფელში: - გაიხსნა შინების-ველთა შემოწილი, ამბულატორია, სოფელში შემოვიდა ბუნებრივი გაზი. მუდამ იყავ ქვრივობებისა და უშეშოთა დამხმარე და იმედი, მიეყვარე სოფელი და შეგიყვარა მანაც. რაიონში ერთ-ერთი ნარმატებული ხელმძღვანელის სახელი გქონდა და ჩვენ ამყები ვიყავით შენით. მაგრამ „სიკვდილამდე ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ 2003 წელს ჩემი 51 წლის ძმა, თამაზი, ტრაგიკულად გარდაიცვალა და აქ დამთავრდა შენი ცხოვრებაც. შვილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს ვერ გაუძლო მამამ - დიმიტრი მეზრიშვილმა, რომელიც ასევე ამბავიანი იყო სოფლისთვის, ათეული წლები ასწავლიდა ისტორიას ჩვენს სკოლაში და მრავალი თაობა გაიზარდა მის ხელში, და გაოცდაცვალა. გულმკვდარმა დედამ და ფრთამოტეხილმა მეუღლემ კიდევ 12 წელი იცოცხლე, მაგრამ ამას ცხოვრება აღარ ერქვა შენთვის. რთული ცხოვრება მერეც მეც. სიკვდილამ არ დამზოგა - ნამართვა საფიციარი ძმა, ძვირფასი მშობლები და ერთადერთი სიხარული დამიტოვა ჩემი ვაჟის - გიგა უგლავას სახით, რომლისთვისაც მიიღოს სიცოცხლე. გული მწყდება, რომ პანდემიის გამო, საკადრისი პატივით ვერ დაგვტოვებ, ჩემო დედა, მაპატიე. ნათელში იყავით ჩემო ძვირფასებო, თქვენ მუდამ იცოცხლებთ ჩემს გულში.

ნანა მხრიშვილი სოფელი ოზანა

სახელის მილოცვა...

ძველად, ჩემ სოფელში, ერთი საოცარი დღე იყო, „სახელის მილოცვის“ დღე. გაზაფხულზე, აღდგომა კვირას, სოფელი საფლავებზე გავიდოდა, - პური, ღვინო, საკლავით, ხორაგით, ცრემლიანი ღალადებითა და სამკებრო სიტყვებით, სახელს ულოცავდნენ გარდასულით-ყველას კი არა-ვინც რამე სახელი დასტოვა! თან ცოცხალ გმირებსაც ადღეგრძელებდნენ...

მამულის დამცველი ბევრი გაუზრდია ჩვენს სოფელში ძველად თუ ახლად. ზოგს „თათარი“ უსახელებია თავი, ზოგს იაპონიის ომში, ზოგს-პირველ მსოფლიო ომში, ზოგს-ჩვენებურ მწყემსს, თრიალეთზე-ყაჩაღებთან... იყვნენ... აღარ არიან...

ნასულან გმირები, გარდამავალი წვიმებით, როგორც ქარიშხლებს უბობოქრიათ, უგრგვინვიათ, ბოლოს, დაყუდებულან მუდრო საყუდარში. ხალხს ჰგონია, ისევ გამოვლენ სამარადიან, თოფსა და ხმაღს კიდევ იხმარებენ, თუკი სამშობლომ შესთხოვა... უკვდავება შეესაკუთრათ... მათ საფლავებზე, ზოგან ია მოსულა, ზოგან ავშანი, ბარამბო, ჭინჭრისდედა, ღიღილო, ზოგან აბზინდა, ზოგან სეინტრივით ბალახი ამოხეთქილა... უამრავი მწვანეა გაზაფხულზე, თითქოს მათმა სისხლმა აღმოაცენა სხინარა ყვავილები; თითქოს საფლავში უხარიათ, რომ მათმა მკლავებმა ასეთი ღამაზი მინა დაუტოვა შთამომავლობას, რომ უფლება მისცა ამ სიღამაზის ყურებსა! მართლაც, ჩვენ რომ ღამაზი წინაპრები გვეყოლოდა და სიღამაზი ჩვენი მამული დაეთმოთ, მტერს გაჰქცევდნენ, ვინ იცის, ახლა სად ვისხდებოდათ ქართველები?

აი, სოფლის ძველი სასაფლაო ველტყვიანზე, ძველებად კლდე-ტინების ნახეთქები ძვეს, განა ძველწერილები?.. თუმცა, აქა-იქ, იშვიათად მინაში ჩასმული, გადაცვეთილი ბრტყელი ქვებიც მოჩანს, გადაკორიკებული ნარჩენებით. ზოგან, ძველად ქვაში გამოკვეთილი, შეკაზმული ცხენი დგას, ზოგან — რქაჩაგრებილი ვერძები, ზოგან — ქვაზე გამოსახული ხელადები, ყანები, ჯამები, ჭიანურები, ჩანგურები, გუთნის ნაწილები!

ხავსი და მოზიბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...

ირგვლივ ფრთავაშლილი გაზაფხული ფრიალებს...

—სახელი მომილოცნია, შვილო! — ყუჩად დასტიროდა შაოსანი დედაბერი ჯაფარული საფლავს და დედაკაცებიც ზედ ზუზუნს აყოლებდნენ:

—განა შინ მოკვიდი, ომის კარს მოკვიდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

ხალხი მოვიდა, ღვთისოს ჩოქვით სახელი მიულოცა.

—ჰაი, შე უდროვოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა! — ჩასძახოდა პაპა ედიშერი მწყემს გაგნიას, — სვეტი ნათლისა დაგადგეს!

— ერთი მოიწვედიც ოცთა და ოცდაათა, მაინც არ გატყდა, არ შეეპოვა! თამარ მეფის მიჯნაზე მოჰკლეს, მაინც შინ მოვიდა! — ღალადებდნენ დედაკაცები. მწყემსი შორს, ჯიქიანი მთის საძოვრებზე, მოეკლათ და ამხანაგებს ხურჯინებით ჩამოეტანათ აკუნული

— სულ კვერცხი ვაგროვე, იმით ვიყიდე თოხლი და წირვა კი გადავუხადეთ, — დასძინდა დედა.

— სახელის მოყვარული იყავ, იორამ. სახელს გილოცავთ! კიდევ დაზრდოს შენის-თანები ჩვენმა მინამა! — და ასი წლის მოხუცებულმა სეხნიამ წითელი ღვინო სავსე ჯაში ასწია. ჩამორგებით მიულოცეს სახელი გმირ იორამს.

მაღე ყველა საფლავზე გაიშალა სუფრა და სევ სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს!

სამშობლოსათვის სისხლდათხეულებს ცრემლითა და ღვინოთ იგონებდნენ. ვაჟაკთა სულთქმა, საქები სიტყვა, დედაკაცების ცრემლიანი ზრინვა გაზაფხულის დილის ნიავს მიჰქონდა მწვანე, ხასხასათავანკარა ჯეჯილებსა და კვირტგამოსულ ვენახებში, თითქოს ამ სევდის ბოლომ იხსნებოდნენ ვაზისა თუ ხეხილის კვირტები. ცა იყო ნაზი და წმინდა, სიყვარულივით... გაჰკრა ჩონგურმა და ალაპარაკა საფლავში მწოლარენი — ხმლითა და ხანჯლით აჩეხილები, მახვილით გადასერილ-გადმოსერილნი, „ტყვიით მთვრალეები“, ამშრალნი წვეთნი მამულის სისხლისანი, ისმობა ზარის დამცემი, გულის შემძვრელი, ცრემლში დასველებული, მაინც კაჟიანი, გავარვარებული სიტყვები.

აი, სახელიან მათიას სახელი მიულოცეს, სანგარზე მკვდარს, იერიშის დროს. მისი საფლავი უპატრონი იყო. გმირის საგვარეულო მთლიანად ამონევეტილიყო, მაგრამ უჭირისუფლო გმირთა საფლავებს სოფლურად ტიროდნენ. ყველასი იყო მისი დატირება, სამარზე მდულარების გადმოხევა სოფლის უწმინდესი მოვალეობა იყო.

—დღესაც შენი დათესილი გამოვიდვართ, ცხონდეს შენი სახელი! — ერთხმად ჩასძახა ხალხმა გუთნისდედა ნინიას საფლავში, — შვეფხა და თავთუხი შენსავით ვის მოჰყავდა? ნახველ და ბარაქაც თან წაიყოლე! მარჯვენას გილოცავთ, დაგელოცით მარჯვენა!

სულხანა გმირი არ იყო, მაგრამ ჭირნახულის ამადგარიც გმირად ითვლებოდა. —რატომ სიმღერა აღარ არის ქვეყანაზე? — იმიტომ რომ შენ აღარა მღერი! — მიუტარეს სოფლის პირველ მომღერალ მარჯანას საფლავს. მარჯანა სიტყბუქვივე მომკვდარიყო, „სიმღერისგან დაინვაო“, მარწყუნებდნენ.

ერთი დახვსებული საფლავი მოჩანდა ბებერი რცხილის ქვეშ, მეომარი ღამაზი უომრად მომკვდარიყო! —ღამე ამოდის ღამაზის აჩრდილი და ჩივისო, —ვაი, რა ძნელი ყოფილა ულაშქროდ სიკვდილი! — იმასაც შეუნდო ხალხმა უხმლოდ სიკვდილი! შეუნდო იმიტომ, რომ ჩვენი სოფელი საზღვარზე იყო, მტერი ბერი ეხსმობდა თავს, მეომარი სოფელი იყო. ამიტომაც თავისით სიკვდილი თითქმის სიმხდალედ ითვლებოდა, ჩვენებური კაცების უმეტესობა ძველად ომსა და ბრძოლაში იყო ნაჩები! ცოცხლებშიც ბევრი შეგხვდებოდა თურმი კოჭლი, უფეხო, უხელი, ცალმკლავა, სახენამოსერილი, ჩამოღარული ხეიბარი.

...უეცარი კვილი გაისმა: სიკვდილს ნუ მისდევ, შეგვობრალე, დაი აღარ გეცოდება? მამ, ძმის იმედი აღარ უნდა მქონდეს?! —

ბლაოდა გიშერ წარბიანი ფერანა, შალიას და. ჩახტაურა ჩემად იჯდა, ვეება, გაბარჯდული მუხის ქვეშ... —სად მოუსა ვ ლ ე თ ი,

სად მხვიანმა ქარმა წაიღო შალიას მტვერი, სად რას იწვა შალია, დედა და დაიკი აქ დასტიროდნენ ჭაბუკ ლომს, ვითომც აქ ეძინა ამ წყნარი მუხის ქვეშ. „ნიმანი“ გაეშალათ — შალიას ქუდი, ჩოსახალუხი და ხანჯალი. ქარფეხას კვიციც აქვე დაებათ, ვითომც საფლავზე აბიაო! უგუნური კვიცი ხტებოდა, ტორებს სცემდა მინას, თითქოს შალიას ეძახდა და გიშერთვალებს შემკრთალი ავლებდა სამგლოვიარო სანახაობას.

ადე, შვილო, თაფლით შედედებულო, ადე, თვალეში გაკოცო, სახელი მოგილოცო!

—ჩაცქერით მინას ელაპარაკებოდა ჩახტაურა, დედაკაცები მდულარე ცრემლით სტიროდნენ, ისე, როგორც ქრისტეს გარდამოსწახე.

—ვაჰმე, სად დაჭკნა სიჯაჟის ყვავილი? რომ გაანდლოს დამწვარი საჯიშე კვირტი გვარისა, ჩემი უბის სითბოთი გამოზრდილი.

მწუნარების ანძალზე აცმული დედა უღრუბლოდ იმდულარებოდა. ნანლაკი ეწვოდა... ძუძუ სტილოდა... მონყეული გული ონავდა უცემდა...

ცრემლით დაებანა შალიას ახალუხი...

—ვაი, ოქროსძარღვო, სახელდებულო! მინაში ჩადებულო! — გმინავდა ჩახტაურა.

—ვაჰ, ბრალი ვეფხვის დედისა! — გვერდით წამოიხრა ბერმა სეხნიამ. ბედისწერით ანუგეშებდა ზოგი: განა უღვთოდ ხეს ფოთოლი ან შესხმია ან გასცივინაო? ადამიანის სიცოცხლეც ასეაო! არ დაგცალდა სანჯალო, საქორწილო პურის ცხობაო, დანახებით ეუბნებოდნენ ჩახტაურას.

აქ მეჩონგურემ ცეცხლს ცეცხლი შეურთო, როდესაც დაამღერა:

შალიას სიკვდილისთვისა მადლა ღმერთს მოსწვდა წელსა! მთვარემ ჩაიგვა შავები, ვარსკვლავთ არ ეღო ფერი!

...და თითქოს უცბად გამოფხიზლდა ჩახტაურა; წამოდგა მინაცრებული, ძველი ლენაკი შემოივლიჯა, ჭლარა თმა გაიწენა, ორივე ლოყა ჩამოიხოკა და შეიფეთა:

—ნეტავ თქვენ, ქვანო და კლდენო, რომ მოსვენებთა ხართ და ჩემი ცეცხლით არ ინებთ! ნეტავი თქვენ!

ქვასაც კი ენანებოდა დედა ჩახტაურა... ცრემლით ამობზარულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ხალხს კი არ უყურებდა. შემოეჯარა ხალხი. შალიას სახელი მიულოცა. ღვინო დაუღიეს, გარდაუღიეს. უეცრივ ჩახტაურა დაშომინდა, გაყურდა... სახელს ულოცავდნენ მეზობლები, — ნინ ცხრანი გაიმძღვარაო! ამყავდა წარმოსთქვამდნენ; განა გლოვობდნენ შალიას, დარჩენილ სახელს ეალერსებოდნენ და თითქოს შორს მდებარე შალიას საფლავში კიდევაც ჩაეცქირათ, დაენახათ, უჭკნობ ყვავილებში გახვეული...

ჩახტაურა მადლს იხდოდა... შუადღის მზე გადაინვერა... ხალხი დაიშალა... გულისღვარული ცრემლი დაწურა და იკმარა... თავდაღმა დაეშვა სოფლისაკენ. მკაცრი სახეები გამოსჩანდა... თითქოს თვითუფლის გამომეტყველება ამბობდა

„სახელის მილოცვა“
 „დღესაც შენი დათესილი ბარაქით გამოვდვართ, ცხონდეს შენი სახელი! — ერთხმად ჩასძახა ხალხმა ცნობილ გუთნისდედას ნინიას საფლავში, — შვეფხა და თავთუხი შენსავით ვის მოჰყავდა? ნახველ და ბარაქაც თან წაიყოლე! მარჯვენას გილოცავთ, დაგელოცოს მარჯვენა!“

სალის კლდეებით არის დამაგრებული საქართველო! შემოგვხედეთ, ჩვენც გული ბასრი ქვისა გვაქვსო, მუდამ ხმლით ვიდექით, ვინ მოედგება ჩვენს მინასო.

მაღე ცის ნაჟინული დაგვეცა თავზე. ცაში ნაბით გრგვინვაც გაისმა. დედაკაცებმა თქვეს: როსტომი ზურაბსა სტირისო! ქარცივი აქროლდა. ცაში შემოწალიკდნენ წერონი, თითქოს გმირთა სულელები დედა-მინიდან ცაში მიემგზავრებოდნენ. ახლა დალასტული ცისარტყელა გამოჩნდა, — დედამინამ გადაიგლოვავა!

ხელში ცარიელი დოქითა და კალათით შინსაკენ ლასლასით ბრუნდებოდა ჩახტაურა. ფერანას კვიცი მოჰყავდა, ჩვენ, ბიჭების ჯგუფს რა მოგვიახლოვდა, ჩახტაურამ წყნარი, მწუნარება-ნარევი ღიმილით გადმოგვხედა და კმაყოფილებით წარმოსთქვა:

—რა სახელიანი შვილი მყავდა! დახე, სოფელმა სახელი მიულოცა! თქვენც კარგები დაიზარდენით, ტყემლის ბოყვებო! ირგვლივ გაზაფხული გიჟმაჟობდა შალიასავით დაუდგარი...

...ჩვენ, ბალები, ამ უცნაურ სანახაობის მოწმენი, შემკრთალები ვიყავთ. ვგრძნობდით, რომ ამ დღის ცრემლითა და კაჟით ჩვენი გული ინრთობდა... ძვალი გვიმაგრებოდა...

დავფიქრდებოდით ნამიერ: რისთვისაა საჭირო სახელი? რა არის საჭირო სახელის მოსაპოვებლად?

სახელი... სახელი... კლდე ჩამოიშლება, ქვამყარი დაირღვევა, არ მოიშლება სახელი! — ასე გვანსწავლიდა ეს დღე...

და სევდინი ფიქრი გულს ვვისერავდა — განა ჩვენც მოვცილოცავენ სახელს, დიდები რომ გავხდებით?

მაგრამ გაზაფხულის მწვანე ფრთის ქრიალი და მშობლიური ცის ლაყვარდულობა ნებას არ გვაძლევდნენ ფიქრებში დაღრმავებისას.

...და ისევ ფრიალოვ ჩამოკიდებული, ჩამოხვსებული ციხე და ზედ მომშვენებული მთვარე მაისის ღამეს, ძირს ხეობაში ვარდის ჭალა, აყვავებული რქამალაი ვენახები... რალაც ვნებანი სურნელი გარშემო, ციციანთელას ფანცქალი, ცაცხვის დაცვენილი ფანტელი და პატარა მდინარის მორცხვი როკვა თუ რაკრაკი...

შალიას მერე ხვარაზებს აჩრდილი აღარ გამოიღისო. ჩახტაურას ცრემლმა დაანყნარაო. — ასე ირწმუნებოდა ასი წლის დედაბერი ხვაშაქი, ციხის უბანში რომ ცხოვრობდა.

გიორგი ლომინძე

ულოცავენ!
ჰაჰა მამაიაშვილს!
 ჩვენს კოლეგას, უძვირფასეს ადამიანს საუკეთესო ოჯახის თავკაცს, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, მსოფლიოს მედიცინის სრულყოფილიან ნევრს პარიზში ბატონ ვაჟას ულოცავთ დაბადების დღეს 9 მაისს!
 საუკეთესო სურვილებით და ღრმა პატივისცემით
 გოდარიძე გონაშვილი და სოსო თიფთაძე

მადლიერება
 „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ ყოფილი თანამშრომლები მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას, ასევე ბატონებს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაშვილს, პარლამენტის ნევრს დავით სონულაშვილს, გუბერნატორს ირაქლი შიოშვილს, ნავთობისა და გაზის კორპორაციას, რომელთა დახმარებითაც და გვერდში დგომითაც უკვე მეორედ მივიღეთ საკომპენსაციო თანხა-1200 ლარი.

ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 03.05 დღე 21°	სამშაბათი 04.05 ღამე 11°	ოთხშაბათი 05.05 დღე 24°	ხუთშაბათი 06.05 ღამე 13°
ორშაბათი 07.05 დღე 24°	სამშაბათი 08.05 ღამე 12°	ოთხშაბათი 09.05 დღე 24°	ხუთშაბათი 10.05 ღამე 13°
გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.		სარედაქციო კოლეგია: შუაშენა ჯანაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ილია ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძინძაძე (საქმის მწარმოებელი); გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	
რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფრონტის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)		რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.	